- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაშეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

სკოლას წარმოდგენილი აქვს სქემატურად გამოსახული სკოლის სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის წესდებით განსაზღვრულ ორგანიზაციულ მოწყობასთან და აჩვენებს ურთიერთმიმართებას სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის.

პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტისა და დამრიგებლის მუშაობა რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმა, სკოლის წესდება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი 06/ნ ბრძანება) აქტებით.

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება #70/1, რომელიც თარიღდება 2022 წლის 20 სექტემბრით, რომლითაც გაწერილია სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის წევრების ფუნქციები, კერძოდ: სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ფუნქციები.

სკოლაში ხარისხის განვითარების შეფასებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციები გაწერილია სკოლის დირექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის #94 ბრძანებითა და სკოლის პროფესიული განვითარების შეფასებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით.

ამავდროულად, ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რომლითაც დასტურდება პერსონალის მიერ საკუთარი ფუნქციების გაცნობის ფაქტი.

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, საქმისწარმოების წესი, სასკოლო სასწავლო გეგმა - სადაც მოცემულია დამრიგებლების, კათედრების ფუნქცია-მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლამ შექმნას ერთი მთლიანი დოკუმენტი, სადაც განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს**/**პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიგრამის, სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირები ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის, ხელშკრულებაში გაწერილი ფუნქციების, საშტატო განრიგის გათვალისწინებით და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, რაც მთლიანობაში, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირები ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება და სამუშაო დებულება
- პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები და შეთანხმების ფორმები ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის გაცნობის შესახებ
- ბიბლიოთეკის დებულება
- საქმისწარმოების წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის შიდამარეგულირებელი აქტების საშუალებით სკოლის შინაგანაწესით, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით, სკოლის წესდებით, ეროვნული სასწავლო გეგმის (კათედრების ფუნქცია-მოვალეობები, დამრიგებლის უფლება-მოვალეობები), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ-ის (მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ -ის მიხედვით.

დასკვნის პროექტში წარმოდგენილი იყო შემდეგი ინფორმაცია:

„სკოლამ პერსონალის მართვის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები:

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 ოქტომბრის #104 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 20 სექტემბრის #71/1 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის პერსონალური მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დებულება“;
- სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“.

ზემოთმოცემული დოკუმენტები არეგულირებს სკოლის პერსონალის მართვის მექანიზმებს. მოცემულია ინფორმაცია საშტატო პოლიტიკის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პერსონალის შერჩევის, პერსონალის განვითარების, პერსონალის შეფასების, მოტივირება-წახალისების, პერსონალის შენარჩუნების, კონფიდენციალობის დაცვის შესახებ. ასევე გაწერილია პერსონალის სამსახურში მიღების წესი, საკვალიფიკაციო მოთხოვნების (რომელიც არ არის წარმოდგენილ დოკუმენტში დაკონკრეტებული და მითითებულია, რომ სკავალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტს გარდა მასწავლებლებისა, ამტკიცებს სკოლის დირექტორი), ახალი თანამშრომლის მიღების, პირადი საქმისწარმოების საკითხები".

სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას, წარმოადგინა ერთიანი დოკუმენტი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის #123 ბრძანებით. დოკუმენტში ზოგად ღირებულებებთან ერთად წარმოდგენილია ინფორმაცია კადრების მოზიდვა-შერჩევის, კონკურსის შესახებ, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის, შესრულებული სამუშაოს შეფასების, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების, მოტივაციის შესახებ.

შინაგანაწესის გაცნობას სკოლის პერსონალი ადასტურებს სკოლასა და პერსონალის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, სადაც წარმოდგენილია მუხლი: შინაგანაწესის გაცნობის შესახებ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ მის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, საკუთარ სკოლაზე მორგებული პრაქტიკა ასახოს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლას საჭიროებაზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძიებები გაწერილი აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 ოქტომბრის #104 ბრძანება), მუხლი 3 - ახალი საშტატო ერთეულების განსაზღვრა და ანალიზი. რაც შეეხება ინტერვენციულ ღონისძიებებს, სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებელთა მხრიდან გაცდენილი გაკვეთილების ჩანაცვლება კათედრის წევრების მიერ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტში გაითვალისწინოს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნები და დაწვრილებით გაწეროს საკუთარ პრაქტიკაში არსებული ნაბიჯები ინტერვენციული მართვის პოლიტიკის მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

სკოლა მასწავლებლის შერჩევას, კადრების მოზიდვასა და დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ-ბრძანების შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა საქმისმწარმოებლის დასაქმების პროცესის ამსახველი გასაუბრების კომისიის ფორმირების ბრძანება (სკოლის დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის #60 ბრძანება), სადაც დაცულია წარმომადგენლობითობის პრინციპები და კომისიის შემადგენლობაში სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შედიან საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და პროფკავშირების წარმომადგენლები, კონკურსის ჩატარების წესი (სკოლის დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის ბრძანება #58), კონკურსის ვადების განსაზღვრის ბრძანება (სკოლის დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის #59 ბრძანება), საპრეტენზიო კომისიის შექმნის ბრძანება (სკოლის დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის #61 ბრძანება), საკონკურსო დოკუმენტაციის გადარჩევასთან დაკავშირებული კომისიის 2022 წლის 15 სექტემბრის სხდომის ოქმი #1, გასუბრების ოქმი (2022 წლის 16 სექტემბრის ოქმი #2), სადაც წარმოდგენილია შერჩევის კრიტერიუმებზე დაფუძნებით მიღებული გადაწყვეტილება და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის წერილი სკოლის დირექტორს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

დასკვნის პროექტში წარმოდგენილი იყო შემდეგი ინფორმაცია:"სკოლის პერონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის პირადი საქმისწარმოების საკითხი, სადაც ჩამოთვლილია შემდეგი დოკუმენტები: ავტობიოგრაფია, ნარკოლოგიური, ნასამართლობა, ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, პირადობის მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ცნობა, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიული ასლი, სეტიფიკატების ასლები, ხელშეკრულება. სკოლის შინაგანაწესში კი განსაზღვრულია, რომ კანდიდატი ვალდებულია სკოლაში წარმოადგინოს: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი, განცხადება სამსახურში მიღების შესახებ, ავტობიოგრაფია, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, კვალიფიკაციის ამაღლების დოკუმენტი, პირადობის მოწმობის ასლი, სერთიფიცირებული პედაგოგის შემთხვევაში შესაბამისი სერთიფიკატის ასლი. ჩამონათვალში საერთოდ <u>არ არის მითითებული უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა".</u> სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის #123 ბრძანებით, სადაც მითითებულია უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის წარმოდგენის საკითხი.

პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის პერსონალის პირად საქმეებში არ იყო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი სკოლის პერსონალს <u>**არ ჰქონდა**</u> წარმოდგენილი:

- საქართვლოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33 [1] -ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ"

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“
- ზოგიერთ მასწავლებელს არ ჰქონდა წარმდგენლი ცნობა ნასამართლობის შესახებ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მუხლი 21).

სკოლამ არგუმენტირებული გეგმით წარმოადგინა ინფორმაცია, რომ აღნიშნული ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები შესრულებულია, თუმცა გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ არის ზემოთ ჩამოთვლილი ცნობები.

დასკვნის პროექტში წარმოდგენილი იყო შემდეგი ინფორმაცია: წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულებაში არ არის მთითებული წამყვანი მასწავლებლის ფუნქციები. სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას, წარმოადგინა წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება, სადაც მითითებული აქვს წამყვანი მასწავლებლის ფუნქციები.

<u>ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.</u>

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

დაწესებულება მასწავლებლის დასაქმებასთან დაკავშირებულ პროცესებს არეგულირებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. მასწავლებლებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების უმეტესობა შესაბამისობაშია საქართველოს ორგანულ კანონთან, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან,

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 22 მასწავლებელი, 1 - წამყვანი და 19 - უფროსი მასწავლებელი, 1 მოწვეული მასწავლებელი, 1 - უფროსი სპეციალური მასწავლებელი, 1 - მტუკი, 2 - დამლაგებელი, 2- დარაჯი, 1- საქმისმწარმოებელი, 1- ბიბლიოთეკარი, 1 ბუღალტერი, 1 ცეცხლფარეში (სეზონურად) , 1 დირექტორის მოადგილე, 1 - ექთანი.

დასკვნის პროექტში წარმოდგენილი იყო შემდეგი ინფორმაცია:“სკოლას <u>არ აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი,</u> შესაბამისად, ვერ დგინდება პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან“.

სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, წარმოადგინა დოკუმენტი „სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის #120 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით გაწერილია დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, დამლაგებლის და სპეციალური მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტით სრულად არ არის გაწერილი სკოლაში მომუშავე ყველა დასაქმებულის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მაგალითად: მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, დარაჯი, ცეცხლფარეში.

<u>ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც ასახავს სკოლაში მიმდინარე პროცესებს: მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავება, პერსონალის შერჩევის პროცედურა, კათედრების, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები, ამტკიცებს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

სკოლამ წარმოადგინა ინფორმაცია მასწავლებლის წახალისების ფორმებისა და პასუხისმგებლობის შესახებ, სადაც გაწერილია, რომ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ვალდებულებების მაღალი პროფესიული პასუსიხსმგებლობით შესრულებისთვის, დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებისა და განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის სკოლა იყენებს წახალისების ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. აღნიშნული ფორმდება დირექტორის ბრძანებით. დირექტორის მოადგილე, საგნობრივი კათედრა, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს წახალისების შესახებ წინადადებით. წარმოდგენილი ინფორმაცია ნაწილობრივ არის წარმოდგენილი სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, მუხლი 9 - პერსონალის მოტივირება და წახალისება.

სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკაა ყოველწლიურად საუკეთესო მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელის გამოვლენა და დაჯილდოვება (სკოლის დირექტორის 2022 წლის 14 სექტემბრის #63 ბრძანება). სკოლამ წარმოადგინა „სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის პროფესიული ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის მიერ საუკეთესო მასწავლებლის, კათედრის გამგისა და დამრიგებლის შეფასების კრიტერიუმები“. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება კათედრის სხდომებზე და პედაგოგიურ საბჭოზე, სკოლის საინფორმაციო დაფაზე ინფორმაციის განთავსებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

რჩევა:

- **სკოლამ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, მუხლი 9 - პერსონალის მოტივირება და წახალისება, სრულად ასახოს ინფორმაცია, რომელიც სკოლამ ცალკე ფაილად წარმოადგინა, ან ცალკე დამტკიცების შემთხვევაში შესაბამისობაში მოიყვანოს აღნიშნულ ორ დოკუმენტში**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ასახული ინფორმაცია.

- **სკოლამ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და სკოლის შინაგანაწესში მოცემული ინფორმაცია წახალისების ფორმებისა და გამოყენების წესის შესახებ.**
- **სკოლამ თავისი პრაქტიკიდან გამომდინარე, როდესაც ახდენს საუკეთესო მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელის გამოვლენასა და დაჯილდოვებას, გაწეროს კონკურსის ჩატარების წესი, პერიოდი, მონაწილეობის პირობები და სხვა კონკურსის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც დადასტურდება შესაბამისი საოქმო ჩანაწერებით და ხელს შეუწყობს გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის შინაგანაწესი;
- პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები;
- საშტატო განრიგი;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 ოქტომბრის #104 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 20 სექტემბრის #71/1 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის პერსონალური მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დებულება“;
- სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
- საქმისმწარმოებლის გასაუბრების კომისიის ფორმირების ბრძანება (სკოლის დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის #60 ბრძანება);
- კონკურსის ჩატარების წესი (სკოლის დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის ბრძანება #58);
- კონკურსის ვადების განსაზღვრის ბრძანება (სკოლის დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის #59 ბრძანება);
- საპრეტენზიო კომისიის შექმნის ბრძანება (სკოლის დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის #61 ბრძანება);
- საკონკურსო დოკუმენტაციის გადარჩევასთან დაკავშირებული კომისიის 2022 წლის 15 სექტემბრის სხდომის ოქმი #1;
- გასუბრების ოქმი (2022 წლის 16 სექტემბრის ოქმი #2);
- სკოლის პროფესიული ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის საუკეთესო მასწავლებლის, კათედრის გამგისა და დამრიგებლის შეფასების კრიტერიუმები;
- საუკეთესო მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელის შესახებ (სკოლის დირექტორის 2022 წლის 14 სექტემბრის #63 ბრძანება)
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის #123 ბრძანებით;
- წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება;
- „სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის #120 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენის მექანიზმი, გამოკითხვა, მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება. დოკუმენტში წარმოდგენილია პროფესიული განვითარების ხელშეწყობის რამდენიმე ეტაპს, როგორიცაა: პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირება სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებს.
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ახდენს სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებათა დადგენას. რაც შეეხება სკოლის ადმინისტრაციას - ამ ნაწილში სკოლა/დირექცია/დასაქმებულის უშუალო ხელმძღანელი იყენებს დაკვირვების მეთოდს და აფასებს დასაქმებულს მის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებთან მიმართებით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლა პერსონალის განვითარებას ახორციელებს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, რასაც ადასტურებს სკოლის პრაქტიკა. მასწავლებლები გადიან პროფესიულ მომზადებას მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის და სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის და მათ შორის მასწავლებელთა კარიერულ ზრდას. სკოლაში მოქმედი კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი და კათედრის შიგნით მასწავლებელთა თანამშრომლობა, პროფესიული დიალოგი ხელს უწყობს თითოეულ მათგანს პროფესიულ დაოსტატებაში და შესაბამისად, სტატუსის მოპოვებაში/ამაღლებაში. სკოლას ჰყავდა 1 პედაგოგი წარდგენილი წამყვანი მასწავლებლის სტატუსზე, რომელმაც მიიღო აღნიშნული სტატუსი.

სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ბაზაზე მასწვლებელთა პროფესიულ განვითარებას, რომ მასწავლებლის ვალდებულებები კანონმდებლობის შესაბამისად იქნეს დაცული ტრენინგები. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის #94 ბრძანება ხარისხის განვითარების შეფასებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლითაც დამტკიცებულია ჯგუფის შემადგენლობა და ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია, რომ თანამშრომლის მიღებისას სკოლის ადმინისტრაცია თანანშრომელს აცნობს და გადასცემს სკოლის შინაგანაწესს, განუმარტავს ფუქნცია-მოვალეობებს, გადასცემს თანამდებობრის ინსტრუქციას და აცნობს უსაფრთხოების წესებს.

სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტირება სამუშაო გარემოსთან. შინაგანაწესი არეგულრებს შრომის პირობებს და დაცვის წესს. სკოლაში შექმნილი საერთო სარგებლობის სივრცეები, კაბინეტები, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების სოციალიზაციას. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კათედრა ყოველთვის ზრუნავს ახალბედა კოლეგის მხარდაჭერაზე, აცნობს რა მას სკოლის კულტურას, სკოლაში მოქმედ წესებსა და კურიკულუმს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების განხორციელებას. მასწავლებლებს სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან აქვთ მაქსიმალური ხელშეწყობა, ჩაერთონ პროფესიული განვითარების ტრენინგებში, ვებინარებში, პროექტებსა და პროგრამებში. სკოლის დანარჩენი პერსონალიც დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი ჩართულია სხვადასხვა პროფესიული განვითარების აქტივობებში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

სკოლას მიეცა რჩევა დააკონკრეტოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები და ხელმისაწვდომი გახადოს აღნიშნული დოკუმენტი დაინტერესებული პირებისათვის

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის #94 ბრძანება ხარისხის განვითარების შეფასებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფში ცვლილების შეტანის შესახებ;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესს (სასკოლო სასწავლო გეგმა) და შესაბამის ბიუჯეტს, ახორციელებს დაგეგმილ ღონისძიებებს და პერიოდულად, კათედრების, ისგ ჯგუფების და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე აფასებს, სასწავლო წლის ბოლოს კი საქმიანობის შემაჯამებელი შეფასების შედეგებიდან გამომდინარე შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის შესამუშავებლად.

სკოლამ წარმოადგინა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, სადაც გაწერილია სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული საკითხების შეფასების, პროცედურების, დასკვნის შედგენის და უკუკავშირის მიღების მექანიზმები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი დადამხმარე პროცესები;

სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია/წარმოდგენილია სკოლის რეგულაციებში: შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ბიბლიოთეკის დებულება, დისციპლინური კომიტეტის დებულება, ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში გაწერილია შესაბამისი საქმიანობის აღმწერი პროცესები.

სკოლამ წარმოადგინა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, სადაც მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, თუმცა დოკუმენტში მხოლოდ ჩამონათვალია და არ არის წარმოდგენილი აღმწერები. აღნიშნული დოკუმენტი დათარიღებულია 2023 წლით და წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის #94 ბრძანების ნაწილად - სკოლაში ხარისხის განვითარების შეფასებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფში ცვლილების შეტანის შესახებ - აღნიშნული უზუსტობა არის გასასწორებელი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლამ შეიმუშაოს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები.
სკოლამ მოახდინოს ხარისხის უზრუნველყოფის 2023 წლით დათარიღებული პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრა, რომელიც გადმოგზავნილ დოკუმენტებში წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის #94 ბრძანების „სკოლაში ხარისხის განვითარების შეფასებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფში ცვლილების შეტანის შესახებ“ ნაწილად.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

დაწესებულებას შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო და დისციპლინური წარმოების წესი, რომლის მიხედვითაც დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომა შეიძლება განიხილოს ასევე დისციპლინურმა კომიტეტმა. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი. შინაგანაწესში გაწერილია, რომ დირექტორის დასაქმებულისადმი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოში, მითითებულია ვადები. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი განისაზღვრება შინაგანაწესის 35-ე მუხლით, ხოლო მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოება სკოლაში ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად. შინაგანაწესის სხვადასხვა მუხლებით განსაზღვრულია თანამშრომლებისა და მოსწავლეების დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. სკოლის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტზე მითითებულია აქტის გასაჩივრების ვადა და ადგილი. სკოლას აქვს საჩივრებისა და წინადადებების ყუთი ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, სადაც ხდება შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება და შემდეგ რეაგირება.
მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტითაც განსაზღვრულია გასაჩივრების სფეროები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლამ გაწეროს საჩივრების განხილვების პროცედურები, სადაც დააკონკრეტებს: რა პრინციპებს ემყარება სკოლაში არსებული საჩივრების სისტემა, როგორ ხდება სკოლაში მოქმედი საჩივრების პროცედურები სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, ფორმალური საჩივრის წარდგენის პროცედურები, რომელია საჩივრების განმხილველი ორგანო, რა ტიპის საჩივრები არსებობს, ვის და როგორ შეუძლია შემოიტანოს განცხადება/საჩივარი, რას უნდა მოიცავდეს განცხადება, წარმოების ვადები.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, სადაც გაწერილია მოსწავლისა და მისი მეურვის კანონიერი უფლებები, დეტალურად არის გაწერილი მათი უფლებები, რომელიც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესითა და სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული საკითხები წარმოდგენილია სკოლის პერსონალთან მიმართებითაც. დოკუმენტზე თანდართულია განცხადების შაბლონებიც.

აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ზემოთ მოცემული დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის 65/1 ბრძანებით პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ, რომლითაც ასევე დამტკიცებულია „სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი“.

სკოლას პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმში, სადაც უწერია, რომ თანამშრომლობს მანდატურის სამსახურთან, მაშინ, როცა სკოლას არ ჰყავს მანდატური.

სკოლაში არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლის მიერ დეკლარირებული პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები მოქმედებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: განხორციელდეს სკოლის დოკუმენტების: „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ და „სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი“ - შესაბამისი ბრძანებებით განსაზღვრა (სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში აღნიშნული ორი დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის დირექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 65/1 ბრძანების დანართს).

სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმში არსებული ინფორმაცია სკოლის რეალურ პრაქტიკასთან და ამოიღოს მანდატურის სამსახურთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“;
- „სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი“;
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 65/1 ბრძანება;
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის #94 ბრძანება სკოლაში ხარისხის განვითარების შეფასებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფში ცვლილების შეტანის შესახებ.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლა მოსწავლეებთან და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ვებ-გვერდს, თიმსს, სოციალურ ქსელს\სკოლის შენობის რეკრეაციულ სივრცეებს, ფოიეს, სადაც გამოკრულია შესაბამისი ინფორმაცია. სკოლა ასევე იყენებს საკლასო ოთახებს პირისპირ შეხვედრების დასაორგანიზებლად. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მასალები (შევსებული კითხვარები), რომელშიც გამოხატული იყო სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულება კონკრეტული საკითხების მიმართ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში მათი მონაწილეობით. სამეურვეო საბჭო, სკოლის მართვის უმაღლესი ორგანო, წარმოდგენილია მშობლებით, მასწავლებლებითა და მოსწავლეებით. მოსწავლეთა თვითმმართველობაში გაერთიანებული არიან საბაზო და საშუალო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეები. პედაგოგიური საბჭო - მასწავლებელთა გაერთიანება, მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში. კათედრები - კათედრის დონზე გადაწყვეტილებები მიღების პროცესში არიან ჩართული. დისციპლინური კომიტეტსა და მრჩეველთა საბჭოში ასევე დაცულია წარმომადგენლობითობის პრინციპები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებში. სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფი ჩართული იყო სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

დასკვნის პროექტში მითითებული იყო ინფორმაცია: სკოლის ტერიტორია შემოღობილია და შეზღუდულია სკოლის ეზოში ავტომობილების გადაადგილება, თუმცა სკოლის ეზოს მცირე მონაკვეთი არ არის შემოღობილი გარე სივრცისგან (ტყისგან). სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, წარმოადგინა 2023 წლის 17 ნოემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დგინდება, რომ სკოლამ შეიძინა სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები, სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები, იზოლირებული მავთული და კაბელი და სხვა. <u>აღნიშნული მიღება-ჩაბარება პირდაპირ არ ადასტურებს ეზოს შემოღობვის ფაქტს.</u>

შენობას აქვს 1 ცენტრალური შესასვლელი და 3 სათადარიგო გასასვლელი.
სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე (სკოლის დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის #12 ბრძანება), რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის #65/ნ სკოლის დირექტორის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსაზღვრული პირის გადამზადების წესის დამტკიცების შესახებ - ბრძანების შესაბამისად არის გადამზადებული. აღნიშნული პირი ამავდროულად დასაქმებულია სკოლაში მასწავლებლად, რაც ზღუდავს მის შესაძლებლობას, რომ სრულყოფილად შეასრულოს უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებული ვალდებულებები. სკოლა აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო სისტემით. 9 ვიდეო თვალი, 4 კამერა სკოლის გარეთ და 5 სკოლის შიდა ტერიტორიის მონიტორინგს უზურნველყოფს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.

კომპიუტერების ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ვიდეო თვალი, რომელიც არ ფუნქციონირებს და რომელიც აღნიშნულ კაბინეტში დარჩა გამოცდების დროიდან და აღარ განხორციელებულა მისი დემონტაჟი.

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო.

სკოლის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. სკოლას არ ჰყავს დღის დარაჯი, თუმცა მისი ფუნქციები შეთავსებული აქვს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს, რომელიც ახდენს უცხო პირთა სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლის კონტროლს და აწარმოებს შესაბამის აღრიცხვის ჟურნალს.

სკოლას აქვს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლას ჰყავს ექთანი.

<u>დასკვნის პროექტში მითითებული იყო ინფორმაცია: „სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ</u> და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ. სკოლაში წარმოდგენილია გაუმართავი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლას აქვს ევაკუაციის გეგმა. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების დაცვისა და ზედამხედველობის საკითხებში პასუხისმგებელი პირი - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს #74/1 ბრძანება“. სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, წარმოადგინა 2023 წლის 23 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება #205/10 საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები, რომლითაც განსაზღვრული სახელშეკრულებო საგანი არის: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადების მომზადება. მომსახურების მიღების პერიოდად განსაზღვრულია 20 სამუშაო დღე. აღნიშნული მომსახურების გაწევის ფაქტი არ ადასტურებს, რომ <u>სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ.</u> სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული აქვს განხორციელების პერიოდი: 18.10.2023 – 18.10.2024.

<u>დასკვნის პროექტში მითითებული იყო ინფორმაცია: „სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“.</u> სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, წარმოადგინა 2023 წლის 25 ოქტომბრის წერილი # MIA 12303120799, რომელშიც მითითებულია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განხილულ იქნა სკოლის მიერ შესათანხმებულად წარმოდგენილი სკოლის საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან და განხორციელდა მისი შეთანხმება სამსახურის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

<u>სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა</u> (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ). სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსადმი 2023 წლის 22 სექტემბრის #1218096 წერილი, რომლითაც სკოლა ითხოვს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლას და ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრას. სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, წარმოადგინა 2023 წლის 16 ნოემბრის წერილი #1559631, რომლითაც სკოლა ითხოვს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლას და ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრას. აღნიშნული წერილით არ დასტურდება, რომ <u>სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა</u> (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ). სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული აქვს განხორციელების პერიოდი: 22.09.2023 – 22.09.2024.

სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ აქვს ამწოვი კარადა და ცდების ჩასატარებელი მაგიდა ცეცხლგამძლე ზედაპირით. დაწესებულებას არ ჰყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

<u>ინდიკატორის მეტწილად დაკმაყოფილებულია.</u>

რჩევა: სკოლამ აიყვანოს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ამწოვი კარადა და ცდების ჩასატარებელი მაგიდა ცეცხლგამძლე ზედაპირით.

სკოლამ უზრუნველყოს კომპიუტერების ლაბორატორიაში დამონტაჟებული არაფუნქციური ვიდეო თვალის დემონტაჟი.

სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი დასაქმებულია მასწავლებლად, რაც ზღუდავს მის შესაძლებლობას, რომ სრულყოფილად შეასრულოს უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებული ვალდებულებები, სასურველია, სკოლამ განსაზღვროს სხვა პირი, რომელიც შეუზღუდავად შეძლებს საკუთარი მოვალეობების განხორციელებას.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. სკოლამ წარმოადგინა სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელშიც მოცემულია N06/ნ ბრძანებით განსაზღვრული საკითხები.

ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. უცხო პირთა/ვიზიტორთა რეგისტრაცია ხორციელდება სპეციალურ ჟურნალში, სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხდება შესაბამისი რეაგირება. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სართულების მიხედვით სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა, სკოლის დერეფანში გამოკრულია მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლამ სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები მოარგოს სკოლის სპეციფიკას და მის საჭიროებებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

მოსწავლეებში პოზიტიური, თანამშრომლობითი ურთიერთობის ხელშეწყობას ემსახურება სადამრიგებლო პროგრამები, სკოლაში არსებული სივრცეები, სააქტო დარბაზი, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა დატვირთვით, მათ შორის როგორც მოსწავლეთა ნამუშევრების საგამოფენო სივრცეები, მოსწავლეების მეგობრული თავშეყრის საშუალებას იძლევა, რაც შესაბამისად ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთო სასკოლო გარემოზე ზრუნავენ ასევე სკოლის მანდატურები. სკოლას 2019 წლის N44 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ბავშვთა დაცვის (მიმართვიანობის) პროცედურების განხორცელებაზე უფლებამოსილი პირი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

დაწესებულების ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 2 დამლაგებელი.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 ოქტომბრის #106 ბრძანებით სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულნი არიან: ექთანი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და დაწყებითების მასწავლებელი. აღნიშნული ბრძანების დანართებად წარმოდგენილია სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტი და სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის საკითხი.

სკოლას გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება ჰიგიენური საშუალებების შეძენაზე.

ჰიგიენური საშუალებები დაცულია სპეციალურად ამისთვის განსაზღვრულ ოთახში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი გზით.

სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი, სკოლას აქვს 3 ცალი 200 ლიტრიანი რეზერვუარი.

სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, პრივატულია და დაცულია.

ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზრუნვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე.

სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება სკოლის ექთანს, თუმცა სკოლაში არ იყო წარმოდგენილი დასუფთავების მონიტორინგის ცხრილები, რაიმე დოკუმენტი.

სველი წერტილებში წარმოდგენილია ბუნებრივი ვენტილაცია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები, კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი (უკონტაქტო).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლის ექთანმა დასუფთავების მონიტორინგი აწარმოოს დოკუმენტურად.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონდებლობის შესაბამისად წარმართვა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 65/1 ბრძანებით.

<u>დასკვნის პროექტში მითითებული იყო ინფორმაცია:</u> სკოლას არ აქვს ცალკე კაბინეტი, საიდანაც უნდა ახორციელებდეს ვიდეო სათვალთვალო სისტემის მონიტორინგს. <u>ვიდეო სათვალთვალო სისტემა განთავსებულია დირექტორის კაბინეტში.</u> მაშინ, როცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, მუხლი 42, პირველი პუნქტით - ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებას და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს მანდატური/უფლებამოსილი <u>პირი. ირღვევა პერსონალური ინფორმაციის მოპოვების საკითხი, ვიდეოთვალთვალის უფლებამოსილების კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლები. არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებაზე მშობლის თანხმობის მიღების საკითხი.</u>

სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, წარმოადგინა პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებაზე მშობლის თანხმობის ფორმის შაბლონი ვერსია, რაც არ ცვლის დასკვნის პროექტში მოცემულ ინფორმაციას მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოქვეყნების შესახებ მშობლის თანხმობის მიღების საკითხზე. ასევე სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა პერიოდი: 9.10.2023 – 05.12.2023, როცა განხორციელდება კაბინეტთან დაკავშირებული საკითხის მოგვარება.

სკოლა მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების (სოციალურ ქსელში გავრცელება) შემთხვევაში ღებულობს ზეპირსიტყვიერ ნებართვას მშობლისგან. ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილზე დასწრების შესახებ (შეფასებები (განმავითარებელი/განმსაზღვრელი); გაცდენები; გამოცდები და ა.შ.) ვრცელდება მხოლოდ ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, ინდივიდუალურად, პერსონალურად მიეწოდება მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

მოსწავლისა და მასწავლებლების პირადი საქმეები დაცულია კარადებში.

სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე წვდომის საშუალება აქვს მხოლოდ შესაბამის პასუხისმგებელ პირს.

სკოლაში მომუშავე პერსონალს აქვს ვალდებულება, სკოლის შესახებ საქმიანი ინფორმაცია არ გასცეს მესამე პირზე.

სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის #65/1 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყენება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში შეთანხმების გარეშე. მოსწავლეთა და პერსონალის პირადი ინფორმაციის დაცვას და ასევე ესქულის ბაზის, ეფლოუსთან წვდომა შეზღუდულია და ხელი მიუწვდება მხოლოდ შესაბამის პირს/პირებს.
სკოლის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისას გათვალისწინებული სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სსიტემის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი რეკომენდაციები.
სკოლას განსაზღვრული ჰყავს სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექტორის 2023წლის 18 სექტემბრის #88 ბრძანება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებას და შედეგების განხილვას მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე. აღნიშნულ სხდომებზე სკოლის დირექტორი წარადგენს ანგარიშს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლამ შეიმუშაოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023წლის 18 სექტემბრის #88 ბრძანება
- სკოლის დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის #12 ბრძანება
- სახანძრო უსაფრთხოების დაცვისა და ზედამხედველობის საკითხებში პასუხისმგებელი პირი - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, დირექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს #74/1 ბრძანება
- მიწერილობა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსადმი 2023 წლის 22 სექტემბრის #1218096 წერილი
- 2019 წლის N44 ბრძანებით განსაზღვრული ბავშვთა დაცვის (მიმართვიანობის) პროცედურების განხორცელებაზე უფლებამოსილი პირი
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 ოქტომბრის #106 ბრძანებით სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე პასუხისმგებელ პირები
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 65/1 ბრძანება
- 2023 წლის 17 ნოემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი
- 2023 წლის 23 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება #205/10
- 2023 წლის 25 ოქტომბრის წერილი # MIA 12303120799
- 2023 წლის 16 ნოემბრის წერილი #1559631

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება *169* ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - 2023 წლის 14 სექტემბრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი 61.11.21.239 და 61.11.21.240.
სკოლა აღჭურვილია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსით, კერძოდ:
მერხი 416, სკამი 416, დაფა - 39. ლეპტოპი -10, კომპიუტერი - 10, პროექტორი - 3.
სკოლას აქვს 12 საკლასო ოთახი და 3 ლაბორატორია, რომელიც ფუნქციონირებს მიმდინარე პერიოდში. სკოლას ასევე აქვს დამატებით 5 საკლასო ოთახი, რომლის ათვისებასაც გეგმავს მომავალში.
სკოლაში არის სამასწავლებლო, დირექტორის ოთახი, ბუღალტრის ოთახი, საქმისმწარმოებლის ოთახი, ექიმის ოთახი, რესურს ოთახი, გარე სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა 1ლეპტოპით და 1--პრინტერით, მაგიდებით. სკოლაში არ არის ცალკე გამოყოფილი ოთახი დირექტორის მოადგილისთვის, რომელიც ამავდროულად არის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელსაც ევალება 06/ნ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების განხორციელება.
პირველ და მეორე სართულზე: სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისათვის.
1 ადაპტირებული სველიწერტილი შშმ პირებისათვის, პერსონალისთვის ერთი სველი წერტილი.
სპორტულ დარბაზთან გამოყოფილია ნახევრად იზოლირებული სივრცე გამოსაცვლელად.
რაც შეეხება ლაბორატორიებს, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც წარმოდგენილი 5 კომპიუტერი.
სკოლაში გამოყოფილია 2 ოთახი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებისთვის, რომელსაც აქვს სათავსოები. სკოლას აქვს ხელსაწყოები და რეაქტივები, მოდელები და პლაკატები, სქემები, ცხრილები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის მასწავლებლები იყენებენ ელექტრონულ რესურსს, ასევე მათ ხელთ არსებულ ლაბორატორიულ ინვენტარს.
სკოლას აქვს რესურს ოთახი აღჭურვილი მაგიდებით, მერხებითა და საჭირო ინვენტარით.
გამოყოფილია ოთახი სამედიცინო კაბინეტისთვის, სადაც წარმოდგენილია სველი წერტილი და უზრუნველყოფილია წყლის მიწოდებით და შესაბამისი ინვენტარით. სამედიცინო კაბინეტში არ არის ხელოვნური ბარიერით (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) გამოყოფილი გასასინჯი სივრცე პაციენტთა გასინგვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით.
საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.
სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემა არ არის წარმოდგენილი, სკოლა იყენებს შეშის ღუმელებს. სკოლამ წარმოადგინა შეშის შეძენისა და დამუშავების მომსახურების ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარებები. სკოლამ ასევე წარმოადგინა 2023 წლის 21 სექტემბრის წერილი #1204177, რომლითაც იგი მიმართავს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გათბობის სისტემის რეაბილიტაციის მიზნით და ამავდროულად, სკოლამ წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 2023 წლის 25 სექტემბრის წერილი, რომლითაც სააგენტო გამოხატავს მზაობას, რომ განხორიცელდეს სკოლის გაზიფიცირება და ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა. აღნიშნული მიზნით სკოლას წარსადგენი აქვს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.
ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაციით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის აუცილებელი სხვადასხვა მომსახურებისა თუ რესურსის შეძენის საკითხი, შესაბამისი ფინანსური ხარჯები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა:

- **სპორტულ დარბაზთან გამოიყოს გოგონებისა და ბიჭებისთვის გამოსაცვლელი ოთახები შესაბამისი პირობებით.**
- **სკოლამ მოკლე ვადებში წარადგინოს ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია რათა დროულად მოხდეს სკოლის ცენტრალიზებული გათბობის სისტემით უზრუნველყოფა.**
- **სკოლამ სამედიცინო კაბინეტში უზრუნველყოს ხელოვნური ბარიერით (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) გამოყოფილი გასასინჯი სივრცე პაციენტთა გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, სკოლის დერეფნები, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. რესურს კლასში წარმოდგენილი მატერიალური რესურსი განკუთვნილია სსსმ მოსწავლეებისთვის. მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამასწავლებლო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით (კომპიუტერები, პრინტერი, კარტრიჯი, საკანცელარიო საქონელი) და ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის. ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალისთვის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო რესურსი - კაბინეტები, კომპიუტერები, პრინტერები, საკანცელარიო საქონელით და შესაბამისი ინვენტარით არის უზრუნველყოფილი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

დასკვნის პროექტში მითითებული იყო შემდეგი ინფორმაცია: „სკოლის შესასვლელში შშმ პირებისთვის არის პანდუსი, თუმცა, სკოლას არ აქვს ლიფტი შშმ პირებისთვის და შესაბამისად, შშმ პირისთვის <u>არ არის უზრუნველყოფილი</u> პირველი სართულის გარდა მეორე სართულზე და სკოლის მეორე ფლიგელში განთავსებული საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობა, რომ შშმ პირმა შეძლოს პანდუსით ან ლიფტით მაგალითად, სპორტული დარბაზით და კომპიუტერული კლასით სარგებლობა“. სკოლამ, არგუმენტირებულ გეგმაში წარმოადგინა ინფორმაცია, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია, თუმცა მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, სრულად ვერ იზიარებს არგუმენტირებულ პოზიციას: <u>შშმ პირისთვის</u> <u>არ არის უზრუნველყოფილი</u> <u>პირველი სართულის გარდა მეორე სართულზე და სკოლის მეორე ფლიგელში განთავსებული საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობა.</u>

სკოლაში მოწყობილია ერთი სველი წერტილი შშმ პირებისთვის.

რესურს ოთახში თავმოყრილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. წარმოდგენილია თანამშრომლობა სკოლის პერსონალს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის, რაც დასტურდება ისგ ჯგუფის სხდომის ოქმებით.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, სკოლის ეზო, გარე სპორტული მოედანი გამოიყენება ისეთი აქტივობების განსახორციელებლად, როგორიცაა: ტრენინგები, შეხვედრები, კონფერენციები, საზეიმო ღონისძიებები, შეჯიბრებები, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაში. სკოლის დერეფნები გამოიყენება როგორც მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნამუშევრების საგამოფენო, შეხვედრების, სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებელი სივრცე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა**/**პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა**).**

კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

- სკოლის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 18,505 წიგნადი ფონდი, 2,389 ერთეული მხატვრული ლიტერატურა. მეთოდური სახელმძღვანელობი. სკოლას წარმოდგენილი აქვს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი და დებულება. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ერთი ლეპტოპი;
- ისტ-ის კაბინეტი აღჭურვილია 5 კომპიუტერით;
- სკოლას აქვს 3 პროექტორი;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში წარმოდგენილია ხელსაწყოები და რეაქტივები, მოდელები და პლაკატები, სქემები, ცხრილები, გამოიყენება ელექტრონული რესურსი;
- საზოგადოებრივი მეცნიერებებს გაკვეთილებისთვის სკოლას შემენილი აქვს რუკები, გლობუსები, პლაკატები;
- სპორტული დარბაზი აღჭურვილია: რაგბის, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის ბურთები, ტენისის ჩოგნები, წელის რგოლები, წამზომი, სასტვენი, ჰულაჰუპი, სპორტული ნიშნულები, ფრენბურთის ბადე, კომპასი, გადასახტომები.
- სკოლას აქვს 3 მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა, რომელიც ცალკე ოთახშია განთავსებული.
- სკოლას აქვს ჭადრაკის დაფები შესაბამისი ფიგურებით;
- სსსმ პირებს წვდომა აქვთ კურიკულუმით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. რესურსები განთავსებულია როგორც საკლასო ოთახებში ასევე რესურსოთახში.
- სახელმძღვანელოების შერჩევის საკითხები განიხილება კათედრის სხდომებზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- 2023 წლის 14 სექტემბრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი 61.11.21.239 და 61.11.21.240.
- აზომვითი ნახაზი;
- მიღება-ჩაბარებები;
- სკოლის 2023 წლის 21 სექტემბრის წერილი #1204177 სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსადმი გათბობის სისტემის რეაბილიტაციის შესახებ
- სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 2023 წლის 25 სექტემბრის წერილი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისსრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის #83 ბრძანებით, ამავე ბრძანებით განსაზღვრულია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებადაც განსაზღვრულია ტექნოლოგიების მასწავლებელი, აიტი სპეციალისტი და დირექტორის მოადგილე. ციფრული განვითარების გეგმით სკოლაში განსაზღვრულია 3 სამუშაო სივრცე: 1. სამასწავლებლო - სადაც მასწავლებლები იყენებენ არსებულ კომპიუტერებს, რომელსაც კოორდინაციას გაუწევს დირექტორის მოადგილე; 2. კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც მოსწავლეებს უტარდებათ ისტ გაკვეთილები და აღნიშნულ სივრცეს იყენებან დამატებით აქტივობებისთვის, აღნიშნულ სივრცეზე კოორდინაციას ახდენს ტექნოლოგიების მასწავლებელი; 3. რესურს ოთახი (სსსმ მოსწავლეები და კათედრები) სკოლაში თითოეულ კათედრას გადაეცემა თითო კომპიუტერი, რომელსაც კოორდინაციას უწევენ კათედრის ხელმძღვანელები, რესურს ოთახში განთავსებული ერთი კომპიუტერის სსსმ მოსწავლეების მიერ გამოყენებას კოორდინაციას უწევს სპეციალური მასწავლებელი. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის წარმართვას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილიწესის შესაბამისად.**

დაწესებულება უზრუნველყოფს კომპიუტერების და შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობას. მოწყობილი აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელად განსაზღვრულია ტექნოლოგიების მასწავლებელი. ადმინისტრაციისათვის განკუთვნილ ოთახებში უზრუნველყოფილია ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა შესაბამისი პირების მიერ. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება ემისის პროვაიდერის საშუალებით. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ სკოლისთვის უსასყიდლოდ უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემულია როუტერი.

სკოლის ინფორმაციულ ტექნოლოგებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით და არსებულ გამოწვევებისათვის სათანადოდ საპასუხოდ, სკოლამ ჩაატარა თვითშეფასება და გამოვლენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეიმუშავა ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის #83 ბრძანება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;
- მიღება-ჩაბარება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის სექტემბრის #67/1 ბრძანებით, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციაში ელექტრონულ და მატერიალურ დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხებს. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ჟურნალები გადანომრილი და ზონარგაყრილია. სკოლა აწარმოებს ბრძანებების ერთიან აღრიცხვას, თუმცა საქმისწარმოების წესში დირექტორის ბრძანების სახეებად განსაზღვრულია: საერთო ბრძანებები და მოსწავლეთა ბრძანებები. პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა ახდენს მოსწავლეთა პირადი საქმეების დანომრვას ანბანურად, თუმცა არ აწარმოებს ანბანურ წიგნს. საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის, “eflow”-ს მეშვეობით. საქმისწარმოების წესში ტექნიკური უზუსტობები ფიქსირდება მუხლი 1. პუნქტი 3 . ჩასასწორებელია ოფიციალური ელ-ფოსტის მისამართი. მუხლი 29 - ჩასასწორებელია დაწესებულების დასახელება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს საქმისწარმოების წესი და საქმიწარმოების პრაქტიკა ბრძანებების სახეებთან დაკავშირებით. კერძოდ, საქმისწარმოების წესში დირექტორის ბრძანების სახეებად განსაზღვრულია: საერთო ბრძანებები და მოსწავლეთა ბრძანებები, ხოლო პრაქტიკაში სკოლა აწარმოებს ბრძანებების ერთიან აღრიცხვას.
საქმისწარმოების წესში გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები: მუხლი 1. პუნქტი 3 . ჩასასწორებელია ოფიციალური ელ-ფოსტის მისამართი. მუხლი 29 - ჩასასწორებელია დაწესებულების დასახელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა ახდენს მოსწავლეთა პირადი საქმეების ნუმერაციას ანბანურად, თუმცა არ ახდენს ანბანური წიგნის წარმოებას. სასურველია, სკოლამ აწარმოოს ანბანური წიგნი.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება სხვადასხვა ჯგუფები სოციალურ ქსელში, ვებ-გვერდი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზის მართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საქმისწარმოების წესი - დირექტორის 2022 წლის სექტემბრის #67/1 ბრძანება;
- შემოსული და გასული კორესპონდენცია;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- სკოლის შესაბამისი გვერდები - Eflow, eschool, Office 365, ელექტრონული ჟურნალი.
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- დირექტორის ანგარიში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისადა სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

საზოგადოების ინფორმირებისათვის, სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა იყენებს ვებ-გვერდს და სოციალურ ქსელს (სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ე.წ დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია), ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს. სკოლის დერეფანში არის საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა ასევე ათავსებს სიახლეებს და ხელისაწვდომს ხდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებისათვის.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლას განსაზღვრული ჰყავს სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელზე პასუხისმგებლი პირი, რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცლებას. სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის #88 ბრძანება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონული ფოსტას, კითხვარებს, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ის პლატფორმას. სკოლის არსებული პრაქტიკის მიხედვით სკოლა პროექტების დაგეგმვის ან სკოლის საქმიანობის შეფასების პროცესში, პრიორიტეტული თემის შერჩევისას მიმართავს მოსწავლეებს და მასწავლებლებს და ითვალისწინებს მათ უკუკავშირს, ასევე სკოლის საათობრივი ბადის დაგეგმვისას ითვალისწინებს მშობლების არჩევანს უცხოურ ენასთან დაკავშირებით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლამ შეიმუშავოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებისშედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

დასკვნის პროექტში მითითებული იყო შემდეგი ინფორმაცია: „სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მისია, ხედვა, ღირებულებების შესახებ, სტრატეგიული გეგმა, სკოლის სტრუქტურა, სამოქმედო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, სექტორი, მოსწავლეთა რაოდენობა, მასწავლებელთა რაოდენობა, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. <u>სკოლას სრულყოფილად არ აქვს ატვირთული ყველა ის დოკუმენტი, რასაც ითხოვს ინდიკატორი“.</u>

სკოლამ, არგუმენტირებულ გეგმაში წარმოადგინა მტკიცებულება, რომ ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა ის ინფორმაცია, რაც ინდიკატორით არის გათვალისწინებული. სკოლის ვებ-გვერდის მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის **მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

<u>**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის #88 ბრძანება სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელზე პასუხისმგებლი პირის განსაზღვრის შესახებ;
- [სკოლები პორტალი - სკოლის გვერდი;]

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
სკოლის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სკოლა შეიმუშავებს როგორც საპროგნოზო, ასევე ფაქტობრივ ბიუჯეტს. ახდენს თვიურ ფინანსურ ანგარიშგებას. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება კანონმდებლობის შესავამისად. სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.
სკოლა ფინანსურ დაგეგმვას ახორციელებს წინა სასწავლო წელს გაწეული ფაქტიური ხარჯების, მიმდინარე წლის შემოსავლებისა და სკოლის მიერ შემუშავებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესყიდვების გეგმა;
- ბიუჯეტის პროექტი;
- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლეთა წახალისების, დისციპლინური წარმოების/ დევნის და მოსწავლის ან მოსწავლის მშობლის/მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების წესები. სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, სკოლის ექთანი. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით კლასებში შემუშავებული აქვთ ქცევის წესები, რომელიც ითვალისწინებს ტოლერანტულ და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ საკლასო გარემოს შექმნას.

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სასკოლო საზოგადოებას განსაზღვრული აქვს მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები კონფიდენციალურობის დაცვით. მაგალითად, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები მშობელს ეცნობება ინდივიდუალურად .

სკოლაში მართვის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობა. რომლის უფლებებიც რეგულირდება კანონით ზოგადი განათლების შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვთ თვითმმართველობის დებულება, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მათი მონაწილეობა მართვაში. წახალისებული და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები, რომლებიც დასტურდება მათ მიერ განხორციელებული პროექტებით. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი პროექტებიც.

დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სასკოლო სასწავლო გეგმაში დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე სკოლის ვალდებულებები, სკოლას ჰყავს ოთხი საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, მათგან ორი იმყოფება შინ სწავლებაზე. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მეცადინეობების განრიგი, სადამრიგებლო პროგრამა.

სკოლას დანერგილი აქვს საჭიროების შემთხვევაში დამატებითი გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა. მაგალითად ყოველ ოთხშაბათს მეშვიდე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაკვეთილზე ტარდება მატემატიკის გაკვეთილი რუბრიკით „ვავსებთ ხარვეზებს“ სადაც დასწრება თავისუფალია.
წარმოდგენილი მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/ კანონიერი წარმომადგენელის კანონიერი უფლებების დაცვის გაწერილი მექანიზმით, სკოლის შინაგანაწესით, თვითმართველობის დებულებით, სადამრიგებლო პროგრამებით და სხვა მარეგულირებელი აქტებით სკოლა აცხადებს მზაობას, უზრუნველყოს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.
დასკვნის პროექტში მითითებული იყო შემდეგი ინფორმაცია: მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი სკოლის შიდა აქტებიდან, <u>სკოლას არ აქვს შემუშავებული შიდა ინსტრუქცია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შემთხვევების იდენტიფიცირებისა და რეფერირების პროცედურების განხორციელების შესახებ.</u> სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, წარმოადგინა ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის #117 ბრძანებით.
აღნიშნული დოკუმენტით სკოლა ადგენს ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს და ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სიტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს.

<u>შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.</u>

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
სადამრიგებლო პროგრამის და დამრიგებლის სამოქმედო გეგმის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს /კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით ასევე იყენებს ფეისბუქგვერდს, ვებგვერდს და ელექტრონულ ჟურნალს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. როგორც სოციალურ ქსელში განთავსებულ სურათებში ისე ადგილზე დათვალიერების დასტურდება, რომ საკლასო ოთახში გამოკრულია მოსწავლეთა ქცევის წესები. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი. სკოლას მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრული ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი. მშობელთა მეტი ჩართულობის, განსხვავებული და საინტერესო მოსაზრებების გაზიარების მიზნით ჩატარდა მამებთან შეხვედრა, სადაც შეავსეს კითხვარი ,,როგორი მშობელი ვარ“. სკოლას აქვს ვებგვერდი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.
სკოლას ამ ეტაპისათვის შემუშავებული აქვს მშობელთან, კანონიერ წარმომადგენელთან შინაგანაწესის გაცნობის მექანიზმი. მოსწავლის მშობელთან კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მიღება-ჩაბარების ხელშეკრულება ბუკებისა და სახელმძღვანელოებისათვის.
დასკვნის პროექტში მითითებული იყო შემდეგი ინფორმაცია: <u>სკოლას არ აქვს მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულება, სადაც გაწერილი იქნება სკოლის და მშობლის უფლება-მოვალეობები. სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, წარმოადგინა მშობელსა და სკოლას შორის ხელშეკრულების ნიმუში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლასა და მშობელს შორის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს შინაგანაწესის გაცნობის და პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ მუხლები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმი
- საინფორმაციო დაფის ფოტოსურათი
- შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მრჩევლთა საბჭოს ოქმი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
- ბრძანება 65/1თანამშრომელთა და მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის #117 ბრძანებით
- მშობელსა და სკოლას შორის ხელშეკრულება.

4.1.2 სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლაში ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების„ წესის შესაბამისად, შესაბამის ვადებში. პირველ ეტაპზე ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, მეორე ეტაპზე ირიცხებიან ის მოსწავლეები, რომელთა და-ძმა სწავლობს აღნიშნულ სკოლაში, ხოლო მესამე ეტაპზე ყველა სხვა სასკოლო ასაკის მოსწავლე. დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის სკოლა აღნიშნულ ინფორმაციას ათავსებს სანფორმაციო დაფაზე და ფეისბუქ გვერდზე. ხოლო, საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტასთან დაკავშრებით ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურები სკოლას არ აქვს შემუშავებული.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების აღმწერი ერთიანი დოკუმენტის შექმნა.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვასა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. Eschool-ის დათვალიერებით დადასტურდა, რომ აღნიშნული პროცესები კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს სკოლაში. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება- საფეხურის დაძლევის, მოსწავლის ჩარიცხვის, და კლასიდან კლასში გადაყვანის. პირველკლასელთა ჩარიცხვა ხორციელდება კანონის შესაბამისად. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ოთხ ეტაპად. სკოლაში კლასის დაძლევა ხდება თითოეულ საგანში შეფასებების მიხედვით. მოსწავლეტა შედეგები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე. საფეხურის დაძლევის ბრძანებას გამოსცემს სკოლის დირექტორი. ასევე კანონმდებლობით დადგენილი წესით აბარებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეები ექსტერნის გამოცდებს და უჩერდებათ მოსწავლის სტატუსი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩრიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით განსაზღვრულ მექანიზმებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლას გააჩნია ფეისბუქგვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე აქტივობების შესახებ. მაგალითად შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, მოსწავლეთა თვითმართველობის მიერ ინიცირებული და სკოლის მხარდაჭერით ორგანიზებული კონფერენცია თემაზე „ სკულპტურა XIV –XVI საუკუნეებში.“ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დამრიგებლები იყენებენ ე.წ. მესენჯერ ჯგუფებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პროგრამებისა და პირობების, შესახებ ინფორმაციის გარკვეული ნაწილი თავსდება საინფორმაციო დაფაზე. ნაწილი ზიარდება დამრიგებლების მიერ შექმნილ მესენჯერ ჯგუფების საშუალებით. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. მოსწავლეთა თვითმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიება. სკოლას ადგილზე მიეცა რჩევა რომ თვალსაჩინო ადგილას განეთავსებინათ ტელეფონის ნომრები, რომლებიც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ სკოლამ მეორე დღეს შემოსასვლელში საინფორმაციო დაფაზე და ყველა სართულზე დაგვახვედრა გამოკრული ტელეფონის ნომრები.
წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა საერთო ჯგუფებში ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული, რასაც მასწავლებლები თავის მხრივ მოსწავლეებს უზიარებენ. სკოლის სოციალური ქსელით შესაძლებელია სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ინფორმავიის სისწორეზე პასუხისმგებელია გვერდის ადმინისტრატორი. ასევე დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.სკოლის ფეისბუქგვერდი

2.სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლას აქვს შემუშავებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაღიდან სკოლაში გადმოსული მოსწავლეების, ასევე სსსმ მოსწავლეების, ახალი მასწავლებლისა და სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციას ახალ გარემოსთან. თუმცა შემუშავებული მექანიზმები არ არის დოკუმენტურად გაწერილი. სკოლას აქვს მზაობა, რომ აღნიშნულ მექანიზმს 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოადგენენ დოკუმენტურად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლამ წარმოდგინოს ერთიანი ადაპტაციის დოკუმენტი, გაითვალისწინოს უცხოეთიდან ჩამოსული მოსწავლეების და სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეების შემთხვევაში ადაპტაციის რა მექანიზმებს გამოიყენებს, მიუთითოს კონკრეტული აქტივობები და ამ აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლას ააქვს გაწერილი ტრანზაციის გეგმა. პირველკლასელთა ადაპტაციისთვის, დამკვიდრებული პრაქტიკაა ბაღის აღმზრდელებთან გასაუბრება მოსწავლთა საჭიროებების დასადგენად. სკოლა სასწავლო წლის დაწყებამდე ატარებს ღია კარის დღეებს მომავალი მოსწავლეებისთვის, რომელზეც სკოლის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები ხვდებიან ერთმანეთს და ათვალიერებენ სასკოლო გარემოს. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის გეგმა.თვითშეფასების დოკუმენტში სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სკოლა სწავლის დაწყებიდანვე ხელს უწყობს მოსწავლეებს ადაპტირდნენ გარემოსთან. გამომდინარე იქიდან რომ სკოლა არის მრავალეთნიკური (სომხები, ებრაელები, ქართველები) კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ადრეულ ეტაპზე მოხდეს მოსწავლეთა ინტეგრაცია და ერთიანი სასკოლო კულტურის გაზიარება. ამისთვის დამრიგებლები იყენებენ კითხვარებს, მასზე დაყრდნობით წარმართავენ მშობელთან და მოსწავლეებთან ურთიერთობას და განსახორციელებელ აქტივობებს.

სკოლას აქვს მზაობა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს პირველკლასელთა, მეოთხედან მეხუთე კლასში გადამსვლელ მოსწავლეთა ადაპტაციას ადაპტაციის პროცესში აქტიური ყურადღება ექცევა დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების კომუნიკაციას მოსწავლის მშობელთან.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლისთვის ძალიან მნიშნელოვანია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე ზრუნვა. შესაბამისად სკოლა/მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასების ინსტრუმენტებს, აწვდიან მოსწავლის მშობლებს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, წარმატებებისა და საჭირობების შესახებ. იყენებენ სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ სწავლებას და ეხმარებიან მათ სირთულეების დაძლევაში. აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით გაკვეთილებზე მოსწავლეთა შეფასება ხდება, საგნობრივ კათედრებზე წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მეშვეობით, რომლებიც განთავსებულია საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილას. სკოლა აკადემიური უნარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეებს უფასოდ სთავაზობს დამატებით გაკვეთილებს საჭიროებიდან გამომდინარე. მაგალითადმეხუთე კლასში ტარდებოდა მათემატიკა,რუსული, მერვე კლასში მათემატიკა სკოლას შედგენილი ქონდა განრიგი, რის მიხედვითან მიმდინარეობდა მეცადინეობა, როგორც ონლაინ ისე საკლასო ოთახებში. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს კიდევ გააგრძელოს დამატებითი მეცადინეობები, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესების მიზნით. მოსწავლის აკადემიურ შედეგებზე წვდომა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

რჩევა: კარგი იქნება, სკოლამ შეიმუშაოს კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელშიც გაწერილი იქნება შემდეგი საკითხები: ყველა მოსწავლეს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას და შეფასების სისტემას. მოითხოვოს სემესტრული გამოცდა ნიშნის ამაღლების მიზნით, საშემოდგომო გამოცდის დაძლევის მიზნით მოითხოვოს კონსულტაცია და შესამამისი საგნის სახელმძღვანელოები. მოითხოვოს მასწავლებლის კონსულტაცია კომპლექსური დავალების შესრულების პროცესში. აღნიშნული რეგულაციები ეხმარება მოსწავლეებს მიიღონ დროული მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში და უცხადებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, როგორებიცაა მოსწავლეების მიერ დაგეგმილი და ინიცირებული პროექტების განხორციელება. საქველმოქმედო ღონისძიებები, სკოლის თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ტრენინგები და სხვა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები. სკოლაში ხორციელდება საკლუბო მუშაობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომელიც ახორციელებს არაფორმალურ აქტივობებს მოსწავლეებთან, სკოლის სხვა პედაგოგებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობას ადგილობრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითმართველობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან არაფორმალური განათლებისა, განვითარებისა და გამოცდილების მიღების მიზნით. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რიგი აქტივობებისა, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებას, როგორიცაა პროექტი „ევროპელი მზრუნველი", სკოლას აქვს მემორანდუმები გაფორმებული სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მაგალითად, სკოლამ 2023 წელს გააფორმა მემორანდუმი ევგენი ხარაძის სახელობის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიასთან რომლებიც უზრუნველყოფენ მრავალფეროვანი აქტივობებისა და პროექტების შეთავაზებას მოსწავლეებისათვის.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.
სკოლა სადამრიგებლო საათის ფარგლებში, მოსწავლეთა უკუკავშირის და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მშობლებს ააქვთ საშუალება თავად აირჩიონ მეორე უცხო ენა. მოსწავლეთა კვლევის საფუძველზე და მათი ინტერესების გათვალისწინებით, ახალი სასწავლო წლისთვის სკოლას უკვე ქონდა დაგეგმილი ახალი პროექტი. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით და ინტერესების გათვალისწინებით სკოლა ხშირად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *თანამშრომლობის მემორანდუმი-ასრტოფიზიკურ ობსერვატორიასა და სკოლას შორის;*
- *სკოლის ფეისბუქგვერდი*
- *მოსწავლეთა კანონიერი უფლების დაცვის დოკუმენტი*
- *სასკოლო ინიციატივის კონცეფცია*

4.2.2 სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლას აქვს გარკვეული პრაქტიკა, დამრიგებლების დახმარებით კლასის საათზე გააცნოს მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესია. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა სკოლა ხშირად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან. ამის დამადასტურებელი დოკუმენტი-მემორანდუმი სკოლამ წარმოადგინა. ასევე მტკიცებულებად წარმოადგინა ფოტომასალა რომელიც ასახავდა შეხვედრებს სხვადასხვა სფეროში მომუშავე წარმატებულ ადამიანებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერვიუდან მიღებული ინფორმაცია განთავსებული არის სკოლის ფეისბუქგვერდზე. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით მოსწავლეები სტუმრობდნენ ობსერვატორიას, სადაც გაეცნენ ტელესკოპთან მუშაობის პრინციპებს, გაეცნენ მზის სისტემას და ტელესკოპით დაათვალიერეს სატურნი და იუპიტერი. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას პროფესიების შესახებ და გარკვეულწილად ხელს უწყობს მომავალი პროფესიის არჩევანში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

დამრიგებლები მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი, კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე ეროვნული გამოცდებისა და პროფესიული პროგრამების შესახებ. მტკიცებულებად შეიძლება მოვიყვანოთ სკოლის ფეისბუქგვერდი, სადაც განთავსებულია ფოტომასალა პროფესიულ სასწავლებელში კოლეჯ „ოპიზარში“ ვიზიტის შესახებ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს ჩაატარა კვლევა მშობლებისათვის. მიღებული შედეგები დაეხმარება სკოლას გაწეული მომსახურების შედეგების შეფასებაში. მართალია სკოლას ჯერ არა ააქვს ამის პრაქტიკა და გამოცდილება, მაგრამ ჩანს, რომ მან უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები და აქვს მზაობა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მშობელთა კითხვარები
- სკოლის ფეისბუქგვერდი
- დამრიგებლის სამოქმედო გეგმა
- გაფორმებული მემორანდუმი

4.2.3 სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სემესტრში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ხდება შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლება. სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა მიმდინარე წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.
სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. შესაბამისად, სკოლაში მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენელთან თანამშრომლობით ტარდება და მომავალშიც გაგრძელდება სხვადასხვა სახის აინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან. სკოლა ასევე, თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებლებთან. პროფ. ორიენტაციის პოპულარიზაციის მიზნით გეგმავს ტიპური და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების ვიზიტს პროფესიულ სასწავლებელში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში სპეც. მასწავლებელს ყურადღება გამახვილებული აქვს მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში
- შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლეების საათობრივი ბადე. (კვირეული დატვირთვა)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. ის ჩართულია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ სატრანსპორტო მომსახურების პროგრამაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლა თავად არ არის არასავალდებულო საგანმანათლებლო სერვისის მიმწოდებელი.
ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ უზურნველყოფილი დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების (ტრანსპორტით მომსახურება) გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობის პრინციპით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლა თავად არ არის არასავალდებულო საგანმანათლბლო სერვისის მიმწოდებელი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ტაბელის ფორმა
- მანქანის ტექდათვალიერების ცნობა
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. დაწყებითის კათედრაზე მასწავლებლებს დამუშავებული აქვთ ესგ- მიხედვით დაწყებითი საფეხურის სტანდარტი, სკოლას შერჩეული აქვს საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები, კერძოდ, თემატური მატრიცები, კომპლექსური დავალების ნიმუშები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრაზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს, ითვალისწინებენ 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმის განხორციელებისას გამოკვეთილ დეტალებს, სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად თავადაც შექმნან კომპლექსური დავალებები.

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას.

2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმის შედგენაში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების წევრები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრები კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ კათედრის წევრები ხვდებიან მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და აცნობენ სასწავლო გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, კომპლექსურ დავალებებს, ახდენენ მათ ანალიზს. მათგან მიღებული უკუკავშირს ითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას, რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

2.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში მასწავლებლებს ერთმანეთთან ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია, ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან. უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებს, ერთად კათედრის სხდომაზე განიხილავენ კურიკულუმსა და კომპლექსურ დავალებებს, იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების წევრების მოსაზრებებს, მოსწავლეთა საჭიროებებს და შესაბამისად ადგენენ საგნობრივ კურიკულუმს, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო ელექტრონულ სივრცეში და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის. მშობლებისათვის კურიკულუმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მშობელთა კრებებზე , სოციალური ქსელით და ინდივიდუალური ბარათებით.

2.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;** დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, შესაბამისი ქვეცნებებით, განსაზღვრულია შუალედური მიზნები, კურიკულუმის ჩარჩოებს თან ახლავს რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით მომზადებული თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, მათი მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. თვითშეფასების კითხვარშიც მითითებულია, რომ დაწყებით საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.

2.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მე-5, 6 კლასების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში გაიწეროს სასწავლო რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოს კომპლექტი, დამატებითი რესურსები), ასევე მიეთითოს კლასი, შესასწავლი თემები, დაკონკრეტდეს ფუნქციური სამეტყველო ქმედებები. მე-5 კლასი - მე-4 თემაში ჩამოყალიბდეს ძირითადი საკითხი -Времена года. პრეზენტაცია წელიწადის დროების გაცნობის მიზნით.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების, სამიზნე ცნებებისა და კოპმლექსური დავალების მიხედვით, იკვეთება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); აღნიშნულთან დაკავშირებით საუბარია, როგორც თვითშეფასების კითხვარში, ასევე, ირკვევა პედაგოგებთან გასაუბრებისას, რომ მოსწავლეებში გლობალურ-კოგნიტური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით აღწევენ. აქტიურად მუშაობენ, ასევე, შემდეგი მიმართულებებით: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში განსაკუთრებით იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება ცოდნის აგებას კონსტრუქტივისტულ საყრდენებზე დაფუძნებით.

2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;** წარმოდგენილი თემატური ერთეულების, ინდ. გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ სამომავლოდ კურიკულუმის ადაპტირება.

2.1.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები შეფასდებიან, როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. დაწყებით საფეხურზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები სხვადასხვა საგანში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ასევე, შექმნილიც აქვთ რამდენიმე რუბრიკა და ინტენსიურად აგრძელებენ მუშაობას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მომზადებას შერჩეული კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებებისთვის, ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით.

2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლის დაწყებითების კათედრის მიერ, არსებული გამოცდილების, თანამშრომლობისა და ერთობლივი ანალიზის საფუძველზეა შემუშავებული შუალედური მიზნები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის ჩარჩოები და დავალების მატრიცები (I - IV და V – VI კლასები); შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სსსმ მოსწავლეებისთვის მოდიფიცირებული მატრიცები;
- გასაუბრება პედაგოგებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 **კურიკულუმის განხორციელება**

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

1.დაწყებით საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას საკლასო და სასკოლო ღონისძიებებში. მაგალითად, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა სასწავლო პროექტში თემაზე „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, სასკოლო ტურისტულ ლაშქრობაში დაბა აბასთუმნის ტერიტორიაზე არსებულ ძველ „ოძრახოსის სამკვიდრო“-ში. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი პროექტების დამადასტურებელი მტკიცებულება (დანართი 84), სადაც არის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგები/პროდუქტები. პროექტის ფარგლებში მოხდა საგანთა შორის ინტეგრაცია (ისტორია, ბუნება, ხელოვნება), დაკონკრეტებულია საგნებთან/ საგნობრივ ჯგუფებთან/ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირი. დაწყებით საფეხურზე უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა პირველი და მეორე უცხო ენის კურიკულუმი, რომლის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ უცხოური ენების სწავლებისას სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს უცხოური ენის კათედრის წევრებმა ისაუბრეს დაწყებით საფეხურზე მათ მიერ განხორციელებულ სასკოლო პროექტზე სახელწოდებით „შემოდგომის გაცილება“, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული საგნის ფარგლებში შეძენილი ცოდნის რეალიზება მოახერხეს მოსწავლეებმა. მასწავლებლები დეტალურად საუბრობენ პროექტის მიზნებზე, პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებზე, პროდუქტებზე, რომელიც შეიქმნა მოსწავლეების მიერ (პრეზენტაცია, ბუკლეტი, როლური თამაში და ა.შ.). სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში და მასწავლებლები კარგად იცნობენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. უცხოური ენის კათედრის მასწავლებლები ინტერვიუს დროს აქცენტს აკეთებენ საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებებით სწავლების პროცესში. გასაუბრებისას დასახელდა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. სკოლის მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას უფრო მეტი იმუშავონ კუთხით, რომ მოხდეს დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში და ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე იქნება ცენტრალური სუბიექტი. სკოლამ წარმოუდგინა სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილებაზე. ასევე, დაადასტურეს კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირების კომპეტენცია.

2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებიდან ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად, ხოლო თემატური დაგეგმვა წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აპირებენ ისეთი კომპლექსური დავალებების გაწერას და განხორციელებას, სადაც გათვალისწინებული იქნება სწავლა-სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. ასევე, გეგმავენ პროექტებს, აქტივობებს და სასწავლო პროცესი დატვირთული იქნება მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტებით, რაც სასკოლო ცხოვრებას უფრო ეფექტურს და მოტივირებულს გახდის. რაც შეეხება უცხოური ენების კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებს, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული სასწავლო თემა: მაგ.: რუსული ენა მე-5, 6 კლასებში. უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმში არ ჩანს ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების კორელაცია. მაგ., ინგლისური ენის მე-2 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლებში მიზანი გამოტანილია შემდეგი ფორმულირებით: წერითი მეტყველების უნარების განვითარება, ხოლო მე-4 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემა ფორმულირებულია შემდეგი სახით: დიორამის შექმნა „საყვარელი ცხოველი“, რაც არასწორია. მომდევნო სასწავლო წლისთვის უცხოური ენების კათედრას დაგეგმილი აქვს კლასში თითო კომპლექსური დავალება რუსული ენაში, ხოლო ინგლისურ ენაში ორი კომპლექსური დავალება. სკოლას არ წარმოუდგენია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, რაც დაადასტურება იმას , რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმი საჭიროებს ცვლილებების შეტანას და დახვეწას.

2.2.1.2..ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: დაწყებითი საფეხურის რუსული ენის კურიკულუმში გამოიკვეთოს თემა, ძირითადი საკითხი, დაკონკრეტდეს კონტექსტმაგალითი.
სრულფასოვნად ჩაშენდეს დაწყებითი საფეხურის რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები.
გადაიხედოს და ჩასწორდეს რუსული ენის დაწყებითი კლასების კურიკულუმი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების შესაბამისობის თვალსაზრისით.
უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სასურველია იყოს წარმოდგენილი უფრო მეტი კომპლექსური დავალება

.

3 სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

მასწავლებლები კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში წაახალისებენ მეტაკოგნიციას, ხელს უწყობენ მოსწავლის რეფლექსიას, ცდილობენ შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იყოს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას მორგებული. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, თუ როგორ უნდა წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, კიდევ უფრო მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება და განმტკიცება. *უცხოური ენების კათედრას მტკიცებულებად არ წარმოუდგენია განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცა, ან მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების/აქტივობის ნიმუში, მისი შეფასების რუბრიკა, რომლის საფუძველზეც დაბეჯითებით შეგვეძლებოდა საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ მასწავლებლების მიერ ორგანიზებული სასწავლო პროცესი ორიენტირებულია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ადასტურებენ იმას, რომ საგაკვეთილო პროცესში ცდილობენ მოსწავლეს შეუქმნან შესაბამისი გარემო და განწყობა, რათა აღწეროს შესრულებული სამუშაო, რა გააკეთა კარგად, რა გაუჭირდა, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა კომპლექსური ან სხვა ტიპის დავალების შესრულებისას. კათედრაზე არის მზაობა, ამ კუთხით მეტი მუშაობის წარმართვა.

2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც იკვეთება საგნობრივ კურიკულუმებში და არაფორმალურ აქტივობებში. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია ძირითადი და დამხმარე რესურსები, რაც მიუთითებს იმას, რომ მოსწავლე გაეცნობა ინფორმაციას არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას ხელს შეუწყობს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, რაც კარგად ჩანს სკოლის მიერ ინტერვიუზე წარმოდგენილ სხვადასხვა საინტერესო აქტივობებში (პროექტზე მუშაობის, კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელების ეტაპები). მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს კვლავ შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.** სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ჩატარებული აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილები, სადამრიგებლო პროგრამას ადგენენ საგნობრივი თემატიკის მიხედვით, რაც ერთგვარი მხადაჭერაა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსწავლის ცოდნათა გაერთიანება, თავმოყრა და გამოყენება, ამისთვის კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში თემატურად იგეგმება მასალა, რომელიც მოიცავს იმგვარ აქტივობებს, რაც მოსწავლეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება. ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ 2023-24 სასწავლო წლისთვის იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის გამთლიანებას და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

2.2.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
დანართი 85. დაწყებითის კურიკულუმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი 84. პროექტი-ლაშქრობა;
დანართი 86. მოსწ,ნამუშევარი-დაწყებითი;
დანართი 87. პედაგოგიური საბჭოს ოქმი N3;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ყველა კლასის კურიკულუმში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და თემასთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, გააზრებულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში. ზოგიერთ საგნის კურიკულუმს თან ახლავს მატრიცა , სადაც ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები და პროცესი. აღნიშნული კურიკულუმები არ არის სრულყოფილი, თუმცა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ უკვე მიმდინარეობს კურიკულუმის დახვეწა - განვითარება, ზუსტდება კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები და იქმნება დავალების პირობა/აქტივობები. დაემატება რესურსები და გასწორდება ყველა უზუსტობა.

2.2.2.1.ინდიკატორ დაკმაყოფილებულია

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;** ჩატარებული გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ-ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა ამ კუთხით განვითარებასაც ითვალისწინებს. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების , სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, იგივე მიზანს ემსახურება სადამრიგებლო პროგრამები, სასკოლო აქტივობები . მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი ხშირად გეგმავენ პროექტებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს, სადამრიგებლო აქტივობებს. საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას მასწავლებლები კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინებენ აღნიშნულ გამოცდილებას, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას მიანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.

2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად. დაწყებით საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან, თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად შექმნიან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებდეს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში.

2.2.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდება. შეფასების რუბრიკების შედგენაში თავიანთ აზრს აფიქსირებენ მოსწავლეებიც. მათ უნდა იცოდნენ რა კრიტერიუმებით შეფასდებიან. რუბრიკების შექმნისას, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას/დახვეწას და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. მასწავლებლები გააგრძელებენ მუშაობას შეფასების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კრიტერიუმებზე. გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ შედეგს მიემართება შეფასება. შესაბამისად, შეფასება გახდება უფრო ვალიდური. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

2.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც არის ახალი შექმნილი. შეფასების სისტემის გამართულობის მიზნით სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარების, შეფასებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომელიც ამოწმებს მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის შეფასება მუდმივად ხორციელდება კათედრის სხდომებზე, განიხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება (დახვეწა, უფრო მყარი შეთანხმება შეფასების კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით).

2.2.2.5..ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემენ ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების ამსახველი დოკუმენტაციის შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით

2.2.2.6.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას. პედაგოგებთან გასაუბრებისას და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი გარემო. სკოლის მისია და ხედვა არის ორიენტირებული მოსწავლეზე, სკოლაში არის დაცული ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას. კოლაში სწავლობენ სსსმ მოსწავლეები, სოციალურად დაუცველი, ობოლი და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები. მიუხედავად ამისა, საგაკვეთილო პროცესის დროს მოსწავლეთა შორის არის მიმღებლობა და მხარდაჭერა ერთმანეთის მიმართ. საგნობრივი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში დაგეგმილი დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის ჰოლისტური შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე

2.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე, მათ ინტერესებზე, საჭიროებებზე, თვითგანვითარებასა და პიროვნულ ზრდაზე. დაწყებითი კლასის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი კინგსისა და ევერესტის მიერ ორგანიზებულ ოლიმპიადებში. საგნის მასწავლებლები ატარებენ დამატებით გაკვეთილებს ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებისთვის და აძლევენ მათ საჭირო რეკომენდაციებს.

2.2.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;** სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას.

2.2.3.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.** სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. დაწყებით საფეხურზე პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობაა. პედაგოგების მთავარი მიზანია თითოეული მოსწავლის ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში, მათი მოტივაციის ამაღლება, შუალედური მიზნის საშუალებით გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ მოსაზრებას, შეხედულებას, მონაწილეობენ პროექტებში.

2.2.3.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურს კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის შემოშავების მეთოდოლოგია, გაკვეთილზე დასწრების ფორმა), ასევე ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ჩანს რომ სკოლაში ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი. მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, შემდეგ განიხილავენ კათედრებზე აღნიშულ გაკვეთილებს და ცდილობენ გამოკვეთონ ძლიერი და სუსტი მხარეები. სისტემატიურად განიხილავენ კომპლექსურ დავალებებს და ზრუნავენ მის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. თუმცა ამის შესაბამისი სტრუქტუირებული დოკუმენტი წარმოდგენილ მასალაში არ იძებნება.

2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სხვადასხვა დოკუმენტების საშუალებით იკვლევენ მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებს. ასეთი წარმოდგენილი დოკუმენტებია: საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, ოქმები, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, კითხვარები მშობელთათვის, საჩივრის ყუთი და სხვა. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება მშობელთა კითხვარების არსებობაც, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებას შემდგომი მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.

2.3.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.** წარმოდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად ჩანს რომ სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგის სარგებელი, იზიარებენ წინარე გამოცდილებას კათედრების საშუალებით და მუდმივად აკვირდებიან საკუთარ პროგრესს ან გამოავლენენ სუსტ მხარეებს. პროცესებისა და შედეგების გაუმჯობესებისათვის იყენებენ შეფასებას, რომ შემდეგ პროცესები უკეთ დაგეგმონ.

2.3.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 85. დაწყებითის კურიკულუმი;

დანართი 83. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

დანართი 4. მშობელთა კითხვარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დანართი 89. გაკვეთილზე დასწრება
დანართი 16. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;** პედაგოგები აცნობიერებენ თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება ,რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ ,რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაგ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე, სკოლის მიერ შემუშავებულ და წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში სკოლას მითითებული აქვს, რომ კვლევას და შეფასებას ატარებს დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარმართავს სამი მიმართულებით, რომელთაგან ერთ -ერთი მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, თუმცა პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ არცერთი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი არ აურჩევიათ, რადგან ჯერ კიდევ განხილვის პროცესში არიან. შემდგომში სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი.

2.3.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლა 2023-2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო წელს გადავიდა შეფასების მეორე მოდელზე. ინტერვიუს დროს სხვადასხვა საგნობრივი კათედრის წევრებმა ისაუბრეს,რომ დაწყებით საფეხურზე I-IV კლასს სისტემატიურად, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე აძლევდნენ როგორც ზეპირ, ასევე წერილობით განმავითარებელ კომენტარს, რასაც შეეხება V-VI კლასების შეფასების დროს სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს საგნობრივი კათედრების მიხედვით მათ მირ შერჩეული კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი თითო შეფასების რუბრიკა, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აუცილებელია სიტუაციის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე.

2.3.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ სკოლაში შეფასება ხდება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. მასწავლებლები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს მაგ: დისკუსია, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, რეფერატის, დისკუსიის შეფასებები, რასაც ადასტურებს სხვადსხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. სკოლას შემუშავებულია აქვს მეთოდოლოგიის დოკუმენტი, თუმცა ამ ეტაპზე მზაობის შესაფასებლად ვეყრდნობით კათედრების მიერ წარმოდგენილ რამდენიმე შეფასების ინსტრუმენტს. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა; მან უნდა აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს მხარეებს. მნიშვნელოვანია შეფასების დაგეგმვისას სწორად იყოს შერჩეული კვლევის მეთოდები. სასურველია სკოლას ქონდეს შემუშავებული და ასახული სასწავლო გეგმაში ინფორმაციის მოგროვების პროცესში ყველაზე მეტად გამოყენებადი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა.

2.3.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ კათედრის წევრებმა გასაუბრებისას ისაუბრეს, თუ როგორ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში შეფასების სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. საუბრისას აღინიშნა მოსწავლეთა შეფასების დროს გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები, რაც გამოიხატება მის ინდივიდუალიზმში, საჭიროებებსა და მიღწევებში. მოსწავლე ფასდება მრავალმხრივი უნარის გააზრების და შეფასების საშუალებით იყენებენ ამ მიმართულებით მათ აქვთ მზაობა და მიმდინარეობს მუშაობა. ერთობლივად შემუშავებულია აქვთ სხვადასხვა მიდგომები მაგ: მოსწავლის შინსწავლება,სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

2.3.2.4..ინდიკატორი დაკმაყოფილებლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.დანართი 7(მოსწავლის ისგ გეგმა)

2.დანართი 80(შინსწავლება).

3.დანართი 85 (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)

4.დანართი 83(მეთოდოლოგია)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება **2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე ხდება მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმის გადახედვა, რა შესრულდა წარმატებით, სად იყო პრობლემა და რა ვერ შესრულდა. იქმნება საჭიროებათა სარეკომენდაციო პაკეტი, რომელსაც ითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში იძენენ გამოცდილებას კომპლექსური დავალებების დანერგვაში. მოსწავლეთა უმეტესობამ ალღო აუღო და კარგად შეასრულა, მშობლებს ეგზავნებათ მშობლის ბარათი, რომლის საშუალებითაც ეცნობებათ, თუ რომელ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობენ მათი შვილები და რომ ეს მათი შესასრულებელი არ არის. კომპლექსური დავალების შესრულებისთვის საჭირო მითითებები მოსწავლეებს ეძლევათ საგაკვეთილო პროცესში, სახლში მათ ევალებათ განავრცონ, გააფორმონ და აირჩიონ კომპლექსურის წარდგენის მათთვის მისაღები მეთოდი. მიღებული გამოცდილება საშუალებას იძლევა 2023-2024 სასწავლო წელს გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი. ადმინისტრაცია ეხმარება და მხარდაჭერას უწევს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, წლის მანძილზე ახორციელებს მონიტორინგს სასწავლო პროცესზე, გამოკვეთავს საჭიროებებს, პრობლემებს და ზრუნავს მათ მოგვარებაზე. მასწავლებლებმა 2023-2024 სასწ. წლის დაწყებამდე გონივრულად და შემოქმედებითად შეადგინეს საგნობრივი კურიკულუმები, სამოქმედო გეგმები, სადამრიგებლო პროგრამები. დამრიგებლები სისტემატიურად აწოდებენ მშობლებს ინფორმაციებს მათი შვილების შესახებ. (აკადემიური მოსწრების, სუსტი და ძლიერი მხარეების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქცევისა და ა. შ.) ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. სკოლა აქტიურად რთავს მშობლებს სასკოლო ცხოვრებაში, ხელს უწყობს მოსწავლეებს უფრო ღიად და გაბედულად დააფიქსირონ თავიანთი სურვილები და საჭიროებები, მხარს უჭერს მოსწავლეთა თვითმმართველობამ უფრო აქტიურად იმუშაოს და წამოაყენოს თავიანთი ინიციატივები,

2.4.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. კურიკულუმის გადამუშავების ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ითვალისწინებს სარეკომენდაციო პაკეტში აღნიშნულ საკითხებს, ასევე ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. გასულ სასწავლო წელს ყველა კლასში საშუალოდ ჩატარდა ორ-ორი კომპლექსური დავალება, არის კლასები, სადაც ყველა მოსწავლემ შეასრულა კომპლექსური დავალება, თუმცა გამოიკვეთა კლასები, რომელშიც მოსწავლეთა ნაწილმა ვერ შეასრულა კომპლექსური დავალება. კომპლექსური დავალების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მოსწავლეებს სჭირდებათ წერითი უნარების განვითარება, ამიტომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის შეირჩა ისეთი კომპლექსურები, რომლებიც ორიენტირებულია წერითი უნარების განვითარებაზე

2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 85. *დაწყებითის კურიკულუმი;*

დანართი 16. სამოქმედო გეგმა ერთწლიანი;

დანართი: ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ცვლილება ***(ბრძანება N105*** *(06.10.2023 წელი)*

დანართი: ***2023-2024 სასწ. წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული განვითარების გეგმა****.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;** სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმები. რომლის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, საზოგადოების თითოეულ წევრს განსაზღვრული აქვს საკუთარი ფუნქცია. ამიტომ კურიკულუმის შემუშავების დროს ყოველთვის ხდება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შედგენის მიზნით კათედრის წევრები იკრიბებიან, არჩევენ სახელმძღვანელოებს, ადგენენ საგნობრივ პროგრამებს და საგნობრივ კურიკულუმებს, ახდენენ კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. მათ მიერ გაკეთებული უკუკავშირით ხდება კურიკულუმის ანალიზი და მასში ცვლილებების შეტანა მომავალი სასწავლო წლისათვის. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები ასახული იქნება კურიკულუმში. სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას.

2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმი შედგენილია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. კურიკულუმში ასახულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც იკვეთება მასწავლებლებთან გასაუბრებისას, საბაზო საფეხურის მასწავლებლები კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ კათედრის წევრები ხვდებიან მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და აცნობენ სასწავლო გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს , კომპლექსურ დავალებებს, ახდენენ მათ ანალიზს. მათგან მიღებული უკუკავშირს ითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას. რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

2.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, მასწავლებლები ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნავენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრების გუნდურობას, აგრეთვე, სხვა საგნობრივ კათდრებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური დავალებების დაგეგმვას და კურიკულუმებში ჩართვას. კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად ხდებოდა კურიკულუმების შემუშავება.

2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო ელექტრონულ სივრცეში და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის. მშობლებისათვის კურიკულუმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მშობელთა კრებებზე , სოციალური ქსელით და ინდივიდუალური ბარათებით.

2.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის VII-IX კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, შესაბამისი ქვეცნებებით, განსაზღვრულია შუალედური მიზნები, კურიკულუმის ჩარჩოებს თან ახლავს რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით მომზადებული თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, მათი მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. თვითშეფასების კითხვარშიც მითითებულია, რომ დაწყებით საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.

2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: ესთეტიკური საგნების (მუსიკა, ხელოვნება) ურიკულუმებში სასურველია იყოს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უფრო ინტენსიურად. ასევე კურიკულუმებში ბოლო თემები არასრულყოფილადაა შევსებული და საჭიროა შესაბამისად გაიწეროს.

რუსული ენა - მე-7, 8, 9 კლასების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში გაიწეროს სასწავლო რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოს კომპლექტი, დამატებითი რესურსები), ასევე მიეთითოს კლასი, შესასწავლი თემები, დაკონკრეტდეს ფუნქციური სამეტყველო ქმედებები. მე-8 თემაში მაგალითი შედარებისთვის მოერგოს მოსწავლეთა ენის ფლობის დონეს. მე-9 კლასი - თემა VI- VII-ში- გამოიკვეთოს ძირითადი საკითხის თემა.

2.საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების, სამიზნე ცნებებისა და კოპმლექსური დავალების მიხედვით, იკვეთება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); აღნიშნულთან დაკავშირებით საუბარია, როგორც თვითშეფასების კითხვარში, ასევე, ირკვევა პედაგოგებთან გასაუბრებისას, რომ მოსწავლეებში გლობალურ-კოგნიტური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით აღწევენ. აქტიურად მუშაობენ, ასევე, შემდეგი მიმართულებებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში განსაკუთრებით იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივისტულ საყრდენებზე დაფუძნებით ცოდნის აგებას.

2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი თემატური ერთეულების, ინდ. გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ სამომავლოდ კურიკულუმის ადაპტირება.

2.1.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები შეფასდებიან, როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები სხვადასხვა საგანში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ასევე, შექმნილიც აქვთ რამდენიმე რუბრიკა და ინტენსიურად აგრძელებენ მუშაობას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მომზადებას შერჩეული კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებებისთვის, ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარიდანაც ჩანს, რომ VII-IX კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება მოსწავლეების მიღწევებს, ფასდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით.

2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის საბაზო საფეხურზე, საგნობრივი კათედრების თანამშრომლობის საფუძველზეა შემუშავებული არჩეული თემები, რესურსები და შუალედური მიზნები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები და დავალების მატრიცები (VII-IX კლასები); შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სსსმ მოსწავლეებისთვის მოდიფიცირებული მატრიცები;
- გასაუბრება პედაგოგებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4..სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებები, მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში, კლასგარეშე მუშაობის ეფექტური წარმართვა გვაძლებს დასკვნის საშუალებას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას. სკოლას შერჩეული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული მიმართულება კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ მიმართულებით ახორციელებს საინტერესო პროექტებს. სკოლაში დასრულების პროცესშია სასკოლო პროექტი ,,კულტურული მრავალფეროვნება", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები გაეცნენ საინტერესო ინფორმაციას რეგიონის კულტურულ მრავალფეროვნებას, ჩაატარეს ინტერვიუები მესხეთში მცხოვრები სხვადასხვა რელიიგიის უხუცეს წარმომადგენლებთან, მოინახულეს უძველესი ისტორიული ძეგლები, შეისწავლეს მრავალფეროვანი ტრადიციული კერძების დამზადება და ჩაუტარდათ მასტერკლასები, გაეცნენ მესხურ ფოლკლორს. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა დაამზადეს ბუკლეტები და გაავრცელეს თემში, სკოლაში მოეწყო სტენდი. პროექტის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. ასევე, სკოლის ბაზაზე შექმნილია ეკოკლუბი ,,ოძრახე'' , რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები. სამომავლოდ, სკოლა გეგმავს შექმნას კულტურული მემკვიდრეობის ბიბლიოთეკა, „ვიკიკლუბი", „მოლაშქრეთა კლუბი", გაზარდოს თემის ჩართულობის ხარისხი და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას.

2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, რაც წინარე ცოდნაზე/გამოცდილებაზე ახლის დაშენებას, სოციო-კულტურული და ფუნქციური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. მასწავლებელი აანალიზებს მოსწავლის მიერ შესრულებულ სამუშაოს და მისი სუსტი დაძლიერი მხარეების გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო გაკვეთილს და თუ საჭირო გახდება, დამატებით მეცადინეობასაც. ამ სამუშაოების საერთო ანალიზი ხდება კათედრის სხდომაზე, სადაც კოლეგები ერთად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. სკოლა პრიორიტეტად დაისახავს სწავლების კონსტრუქტივისტულ მიდგომებს, ასახავს სასკოლო კურიკულუმში და იზრუნებს მის განხორციელებაზე.

რაც შეეხება უცხოური ენების კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებს, რუსული ენის მე- 7, 8, 9 კლასებში არ არის დაკონკრეტებული თემები. რუსული ენის მე-8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში საგნობრივ კურიკულუმში არ ჩანს ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების კორელაცია. მე-9 კლასის რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების პირობა ისე არის ფორმულირებული, რომ მოსწავლეს უწევს უკვე დამუშავებული, შესწავლილი ტექსტის შინაარსის გადმოცემა, პირდაპირი კოპირება წიგნიდან. ინტერვიუს დროს კათედრამ აღნიშნა, რომ გაითვალისწინებენ ამ გარემოებას და ჩამოაყალიბებენ სრულყოფილად დავალების პირობას. მომდევნო სასწავლო წლისთვის უცხოური ენების კათედრას საბაზო საფეხურზე დაგეგმილი აქვს კლასში თითო კომპლექსური დავალება, მაგ.: რუსული ენა -მე- 7, 8, 9 კლასებში, ხოლო ინგლისურ ენაში ორი კომპლექსური დავალება. სკოლას არ წარმოუდგენია მტკიცებულება, სადაც უნდა ჩანდეს სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, ასევე, არ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, რაც დაადასტურება იმას , რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. სკოლას მიეცა რჩევა საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმში შეიტანოს ცვლილებები და დახვეწოს.

2.2.1.2..ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რჩევა: რუსული ენის VII, VIII, IX, კლასის კურიკულუმებში ჩასწორდეს საკითხებთან მიმართებით შინაარსობრივად შეუსაბამო კომპლექსური დავალებები.
რუსული ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმში გამოიკვეთოს თემა, ძირითადი საკითხი, დაკონკრეტდეს კონტექსტმაგალითი.
სრულფასოვნად ჩაშენდეს რუსული ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები.
გადაიხედოს და ჩასწორდეს რუსული ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების შესაბამისობის თვალსაზრისით.
უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) საბაზო საფეხურის კურიკულუმში სასურველია იყოს წარმოდგენილი უფრო მეტი კომპლექსური დავალება.
დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით კერძოდ, ჩვენი საქართველოს 6 კლასის კურიკულუმი გადაიხედოს და ჩასწორდეს სამიზნე ცნებისა და ქვეცნების შესაბამისობა.

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

საგნობრივ კათედრებზე დიდი ყურადღება კოგნიტური უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია მეტაკოგნიცია, ანუ სწავლის სწავლა. სწავლა-სწავლების მიზანი მოსწავლისთვის გამჭოლი უნარების განვითარებაა. ამისათვის თითოეული გაკვეთილი და დავალება მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებზე. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა გააკეთოს თვითშეფასება, როგორ შეასრულა ესა თუ ის დავალება, როგორ და რაში შეუძლია გამოიყენოს შეძენილი ცოდნა. მასწავლებლები ისე გეგმავენ დავალებებს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები. კოლას არ წარმოუდგენია მოსწავლის რეფლექსია, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარები, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ საგაკვეთილო პროცესში დასმულ შეკითხვებზე, როდესაც მოსწავლე აღწერს შესრულებულ სამუშაოს, რა გააკეთა კარგად, რა გაუჭირდა, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა კომპლექსური ან სხვა ტიპის დავალების შესრულებისას. კათედრაზე არის მზაობა, სწავლა-სწავლების პროცესში მეტი აქცენტი გააკეთონ მეტაკოგნიციაზე და შეიმუშავონ შესაბამისი კითხვარები.

2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში. წარმოდგენილი საკითხების შესწავლაზე მუშაობა და კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება მოიაზრებს ცოდნის სამივე კატეგორიას. მაგალითად, საგან ინგლისურ ენაში მე-9 კლასში დაგეგმილი კომპლექსური დავალების იდეა გულისხმობს სათავგადასავლო -შემეცნებითი ტურის შექმნას ვიზიტორებისთვის, ამისათვის მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რა არის სათავგადასავლო-შემეცნებითი ტური, დაფიქრდეს, რისთვის/ვისთვის ქმნის, შეისწავლოს შესაბამისი თემატური ლექსიკა, დაამუშავოს სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებები, ყურადღება გაამახვილოს ვერბალურ/არავერბალურ კომუნიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებებზე და წარადგინოს ნამუშევარი ზეპირი პრეზენტაციის სახით. ასევე, არაფორმალური აქტივობები მოიაზრებს მოსწავლის მიერ პრობლემის ანალიზს, საჭირო რესურსის/ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად და მასწავლებელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა კვლავაც გეგმავს პროექტული, პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას.

2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ ნაცნობ სიტუაციას, პრობლემას, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება. მოსწავლე ორიენტირებულია რა პრობლემის მოგვარებაზე, უხდება წინა მასალის, ასევე სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირება. თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალების ძირითადი საკითხი, კონტექსტმაგალითი, მაგალითი შედარებისთვის, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებას ახალ თემაზე გადასვლისთანავე და შესაბამისად მიდგომა „ნაცნობიდან უცნობისკენ“ დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. ინტერვიუმ აჩვენა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირების. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს ასევე არაფორმალური აქტივობები. სასკოლო გეგმაში მოცემული პროექტების შინაარსი იძლევა საგნების ინტეგრირებისა და ტრანსფერის შესაძლებლობას. ეს ყველაფერი კი მოსწავლეს ეხმარება ახალი ინფორმაცია დაუკავშიროს არსებულს და მოუძებნოს ადგილი ცოდნის გამოყენებას რეალურ ცხოვრებაში.

2.2.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 89. საბაზოს კურიკულუმი;

დანართი 90. მოსწ.ნამუშევარი-საბაზო;

დანართი 87. პედაგოგიური სბჭოს ოქმი N3);

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ყველა კლასის კურიკულუმში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და თემასთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, გააზრებულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში. ზოგიერთ საგნის კურიკულუმს თან ახლავს მატრიცა , სადაც ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები და პროცესი. აღნიშნული კურიკულუმები არ არის სრულყოფილი, თუმცა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ უკვე მიმდინარეობს კურიკულუმის დახვეწა - განვითარება, ზუსტდება კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები და იქმნება დავალების პირობა/აქტივობები. დაემატება რესურსები და გასწორდება ყველა უზუსტობა.

2.2.2.1.ინდიკატორ დაკმაყოფილებულია.

2. ჩატარებული გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ-ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლისა და მასწავლებლის ყოველდღიური ურთიერთობა დაფუძნებულია ღირებულებებზე. საბაზო საფეხურზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა ამ კუთხით განვითარებასაც ითვალისწინებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხშირად გეგმავენ პროექტებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს, სადამრიგებლო აქტივობებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მშობლების როლიც. სკოლა, სოციალური ქსელი საშუალებითაც ახერხებს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე დაკვირვებას. საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას მასწავლებლები კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინებენ აღნიშნულ გამოცდილებას, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას მიანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე.

2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: ყველა კლასში სკოლამ სასურველია შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც შეფასება დაეყრდნობა მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების სხვადასხვა კუთხით.

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად. დაწყებით საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან, თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად შექმნიან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებდეს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში.

2.2.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდება. შეფასების რუბრიკების შედგენაში თავიანთ აზრს აფიქსირებენ მოსწავლეებიც. მათ უნდა იცოდნენ რა კრიტერიუმებით შეფასდებიან. რუბრიკების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას/დახვეწას და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. მასწავლებლები გააგრძელებენ მუშაობას შეფასების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კრიტერიუმებზე. გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ შედეგს მიემართება შეფასება. შესაბამისად, შეფასება გახდება უფრო ვალიდური. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

2.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან შეიქმნას თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე.

5. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც არის ახალი შემუშავებული. შეფასების სისტემის გამართულობის მიზნით სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარების, შეფასებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომელიც ამოწმებს მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის შეფასება მუდმივად ხორციელდება კათედრის სხდომებზე, განიხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება (დახვეწა, უფრო მყარი შეთანხმება შეფასების კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით).

2.2.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6 .მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემენ ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების ამსახველი დოკუმენტაციის შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით

2.2.2.6.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;

პროექტები;

- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- კათედრის სხდომის ოქმები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას. პედაგოგებთან გასაუბრებისას და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი გარემო. სკოლის მისია და ხედვა არის ორიენტირებული მოსწავლეზე, სკოლაში არის დაცული ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას. სკოლაში სწავლობენ სსსმ მოსწავლეები, სოციალურად დაუცველი, ობოლი და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები. მიუხედავად ამისა, საგაკვეთილო პროცესის დროს მოსწავლეთა შორის არის მიმღებლობა და მხარდეჭერა ერთმანეთის მიმართ. საგნობრივი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში დაგეგმილი დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის ჰოლისტური შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე, მათ ინტერესებზე, საჭიროებებზე, თვითგანვითარებასა და პიროვნულ ზრდაზე. საგნის მასწავლებლები ატარებენ დამატებით გაკვეთილებს ეროვნულ ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებისთვის და აძლევენ მათ საჭირო რეკომენდაციებს. ყველა მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად, აქვთ თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთონ სასწავლო პროცესში ერთნაირად თავიანთი შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით.

2.2.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას.

2.2.3.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის დამყარებულია თანამშრომლობითი და ურთიერთნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. პედაგოგების მთავარი მიზანია თითოეული მოსწავლის ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში, მათი მოტივაციის ამაღლება, შუალედური მიზნის საშუალებით გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ მოსაზრებას, შეხედულებას, მონაწილეობენ პროექტებში.

2.2.3.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- აბაზო საფეხურს კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
წარმოდგენილი დოკუმენტებით და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა რომ, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება საგნობრივი კათედრების დახმარებით. კოლეგებს შორის მუდმივად ხორციედება გამოცდილების გაზიარება ურთიერთდასწრებებით და ასეთი მეთოდებით ინერგება სხვადასხვა წარმატებული თუ წარუმატებელი აქტივობები და სწავლების მეთოდები. ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ჩანს რომ სკოლაში ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი.
სისტემატიურად განიხილავენ კომპლექსურ დავალებებს და ზრუნავენ მის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სხვადასხვა დოკუმენტების საშუალებით იკვლევენ მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებს. ასეთი წარმოდგენილი დოკუმენტებია: საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, ოქმები, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, კითხვარები მშობელთათვის, საჩივრის ყუთი და სხვა. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის კოლეგებთან გაზიარებაზე, ცდილობენ გამოკვეთონ პრობლემური საკითხები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

იფიქრონ მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება მშობელთა კითხვარების არსებობაც, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებას შემდგომი მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.

2.3.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად ჩანს რომ სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგის საჭიროება, კათედრებზე ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და მუდმივად აკვირდებიან საკუთარ პროგრესს ან გამოავლენენ სუსტ მხარეებს. პროცესებისა და შედეგების გაუმჯობესებისათვის იყენებენ შეფასებას, რომ შემდეგ პროცესები უკეთ დაგეგმონ. საუბრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ აკეთბენ თვითრეფლექსიასაც, რაც ასევე ეხმარება შემდგომი პროცესების დაგეგმვაში.

2.3.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 85. დაწყებითის კურიკულუმი;
დანართი 83. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
დანართი 4. მშობელთა კითხვარი;
დანართი 89. გაკვეთილზე დასწრება
დანართი 16. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი- სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს შეფასების მრავალფეროვნება, ,საგნობრივ კათედრის ოქმებში ფიქსირდება თუ როგორ ხდება შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და გამოყენება.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება კათედრის სხდომებზე.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ინფორმაციით, სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მოსწავლეების შეფასება ხდება შეფასების მეორე მოდელის მიხედვით და თითოეულ დავალებას მასწავლებელი ადგენს ესგ-დან გამომდინარე ,აგრეთვე ითვალისწინებს მოსწავლეების სააზროვნო უნარებს, განვითარების დონეს და მათ ინტერესს.მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეების სააზროვნო უნარების განვითარებას. შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე და სანდო. შეფასება დაიგეგმება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით: თითოეული საგნის პედაგოგთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე მათ შექმნილი აქვთ სანიმუშოდ განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ შექმნან და გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე მოსწავლის თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკაც. მასწავლებლები კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა კლასებში ჩატარებული კომპლექსური დავალების შედეგებს და იმსჯელებენ თუ რა იმსჯელებენ თუ როგორ ხდება შუალედური მიზნების განხორციელებით გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება.

2.3.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციით და პედაგოგთა ინტერვიუთ გამოიკვეთა ,რომ ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს, ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები.მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისიწნებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის,დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. ინტერვიუში გააჟღერეს,რომ კონტექსტები და ფოკუსი შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება. კათედრას აქვს დამრიგებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობის პრაქტიკა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. ახდენენ თვითრეფლექსიას, ურთიერთდასწრება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, ინტერესების თუ სხვა საკითხების შესასწავლად, რაც მოცემულ კონტექსტშია საჭირო და გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტულობაზე . ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეზე დაკვირვება ხდება როგორც სასკოლო, ისე კლასგარეშე აქტივობების დროს, რათა მოხდეს მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ შესწავლა. საგნობრივმა კათედრებმა ისაუბრეს ,რომ შესაფასებლად გამოიყენებენ , როგორც განმსაზღვრეს ასევე განმავითარებელ შეფასებას. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული,/სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);
3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნეს ,რომ მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირების ინსტრუმენტი არ აურჩევიათ ამ ეტაპზე.

2.3.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის შეფასების და მონიტორინგის მრავალმხრივი მეთოდები გამოიყენონ. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის ,რეფერატის, დისკუსიის შეფასებები რუბრიკები.

ინტერვიუს დროს ისაუბრეს ,რომ შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთი და ა.შ. მათემატიკის პედაგოგებთან გასაუბრებიდან ირკვევა რომ შეფასებისას იყენებენ შემდეგ მეთოდებს: მოსწავლეთა დაკვირვება, მოსწავლის შეფასებების შედეგების ანალიზი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, დამოუკიდებელი მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, გამოკითხვა, თვითშეფასება, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება და სხვა.

2.3.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის აკადემიური დონე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგთა ინფორმაციით, სკოლამ შეიმუშავა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც გეგმავს მომავალ სასწავლო წელს. შეფასება მოხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურობას, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს და სასკოლო კურიკულუმში ასახულ კომპლექსური ბუნების დავალებების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებზე იმუშავებენ. ამავე დროს გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალიზმს და გასადგენად პედაგოგები თვითშეფასების სხვადასხვა აქტივობის გამოყენებას გეგმავენ. სკოლაში ჰყავთ 4 სსსმ მოსწავლე და შექმნილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა -შეფასების რუბრიკებით.

2.3.2.4..ინდიკატორი დაკმაყოფილებლია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.დანართი 83(მეთოდოლოგია)

2.დანართი 12(კათედრის ოქმი)

3.დანართი 7(მოსწავლის ისგგეგმა)

4.დანართი 21(კათედრის წლ.გეგმა)

5.დანართი 39(შეფასების კრიტერიუმები)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე ხდება მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმის გადახედვა, რა შესრულდა წარმატებით, სად იყო პრობლემა და რა ვერ შესრულდა. იქმნება საჭიროებათა სარეკომენდაციო პაკეტი, რომელსაც ითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში იძენენ გამოცდილებას კომპლექსური დავალებების დანერგვაში. მოსწავლეთა უმეტესობამ ალღო აუღო და კარგად შეასრულა, მშობლებს ეგზავნებათ მშობლის ბარათი, რომლის საშუალებითაც ეცნობებათ, თუ რომელ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობენ მათი შვილები და რომ ეს მათი შესასრულებელი არ არის. კომპლექსური დავალების შესრულებისთვის საჭირო მითითებები მოსწავლეებს ეძლევათ საგაკვეთილო პროცესში, სახლში მათ ევალებათ განავრცონ, გააფორმონ და აირჩიონ კომპლექსურის წარდგენის მათთვის მისაღები მეთოდი. მიღებული გამოცდილება საშუალებას იძლევა 2023-2024 სასწავლო წელს გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი. ადმინისტრაცია ეხმარება და მხარდაჭერას უწევს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, წლის მანძილზე ახორციელებს მონიტორინგს სასწავლო პროცესზე, გამოკვეთავს საჭიროებებს, პრობლემებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზრუნავს მათ მოგვარებაზე. მასწავლებლებმა 2023-2024 სასწ. წლის დაწყებამდე გონივრულად და შემოქმედებითად შეადგინეს საგნობრივი კურიკულუმები, სამოქმედო გეგმები, სადამრიგებლო პროგრამები. დამრიგებლები სისტემატიურად აწოდებენ მშობლებს ინფორმაციებს მათი შვილების შესახებ. (აკადემიური მოსწრების, სუსტი და ძლიერი მხარეების, ქცევისა და ა. შ.) ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. სკოლა აქტიურად რთავს მშობლებს სასკოლო ცხოვრებაში, ხელს უწყობს მოსწავლეებს უფრო ღიად და გაბედულად დააფიქსირონ თავიანთი სურვილები და საჭიროებები, მხარს უჭერს მოსწავლეთა თვითმმართველობას, რათა უფრო აქტიურად იმუშაოს და წამოაყენოს თავიანთი ინიციატივები,

2.4.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ურიკულუმის გადამუშავების ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ითვალისწინებს სარეკომენდაციო პაკეტში აღნიშნულ საკითხებს, ასევე ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. გასულ სასწავლო წელს ყველა კლასში საშუალოდ ჩატარდა ორ-ორი კომპლექსური დავალება, არის კლასები, სადაც ყველა მოსწავლემ შეასრულა კომპლექსური დავალება, თუმცა გამოიკვეთა კლასები, რომელშიც მოსწავლეთა ნაწილმა ვერ შეასრულა კომპლექსური დავალება. კომპლექსური დავალების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მოსწავლეებს სჭირდებათ წერითი უნარების განვითარება, ამიტომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის შეირჩა ისეთი კომპლექსურები, რომლებიც ორიენტირებულია წერითი უნარების განვითარებაზე.

2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი. 89. საბაზოს კურიკულუმი;

დანართი 16. სამოქმედო გეგმა ერთწლ;

*დანართი: ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ცვლილება (**ბრძანება N105** (06.10.2023 წელი)*

*დანართი: **2023-2024 სასწ. წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული განვითარების გეგმა**.*

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმები. რომლის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, საზოგადოების თითოეულ წევრს განსაზღვრული აქვს საკუთარი ფუნქცია. ამიტომ კურიკულუმის შემუშავების დროს ყოველთვის ხდება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება. საშუალო საფეხურზე კურიკულუმის შედგენის მიზნით კათედრის წევრები იკრიბებიან, არჩევენ სახელმძღვანელოებს, ადგენენ საგნობრივ პროგრამებს და საგნობრივ კურიკულუმებს, ახდენენ კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. მათ მიერ გაკეთებული უკუკავშირით ხდება კურიკულუმის ანალიზი და მასში ცვლილებების შეტანა მომავალი სასწავლო წლისათვის. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები ასახული იქნება კურიკულუმში. სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას.

2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმი შედგენილია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც იკვეთება მასწავლებლებთან გასაუბრებისას, საშუალო საფეხურის მასწავლებლები კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ კათედრის წევრები ხვდებიან მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და აცნობენ სასწავლო გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს , კომპლექსურ დავალებებს, ახდენენ მათ ანალიზს. მათგან მიღებული უკუკავშირს ითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას. რაც დასტურდება დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მეთოდოლოგია. მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

2.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, მასწავლებლები ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნავენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრის წევრების გუნდურობას, აგრეთვე, სხვა საგნობრივ კათდრებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური დავალებების დაგეგმვას და კურიკულუმებში ჩართვას. კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად ხდებოდა კურიკულუმების შემუშავება.

2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო ელექტრონულ სივრცეში და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის. მშობლებისათვის კურიკულუმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მშობელთა კრებებზე , სოციალური ქსელით და ინდივიდუალური ბარათებით.

2.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის X-XII კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია შუალედური მიზნები, მათ თან ახლავს რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით მომზადებული თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, მათი მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. თვითშეფასების კითხვარშიც მითითებულია, რომ დაწყებით საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.

<u>**დასკვნის პროექტში მითითებული იყო: საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე საშუალო საფეხურზე (ისტორია, გეოგრაფია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, პროექტული სწავლება მოქალაქეობაში) არ არის კურიკულუმის ჩარჩო XI კლასისთვის (გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით) და ასევე არ არის X კლასში პროექტული სწავლება მოქალაქეობაში. არ არის რუსული ენის კურიკულუმი X (გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით), XI კლასებისთვის.**</u>

არგუმენტირებული გეგმის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა რუსული ენის კურიკულუმი X და XI კლასებისთვის.

სკოლამ ასევე წარმოადგინა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე საშუალო საფეხურზე (ისტორია, გეოგრაფია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, პროექტული სწავლება მოქალაქეობაში) კურიკულუმის ჩარჩოები XI კლასისთვის (გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით) და ასევე X კლასში პროექტული სწავლება მოქალაქეობაში.

<u>2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

რჩევა: რუსული ენა

მე -10, 11 კლასების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში გაიწეროს სასწავლო რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოს კომპლექტი, დამატებითი რესურსები), ასევე მიეთითოს კლასი, შესასწავლი თემები, დაკონკრეტდეს ფუნქციური სამეტყველო ქმედებები.

მე-10 კლასი - ბარსეგოვას მე-10 კლასის გრიფირებულ სახელმძღვანელო მოიცავს სამ თემატურ ბლოკს, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია 8 თემა - ქვეთავები წარმოდგენილია ძირითად თემებად, რაც უნდა ჩასწორდეს და მოვიდეს შესაბამისობაში სახელმძღვანელოსთან.

ძირითად კონტექსტმაგალითად მითითებული ჩანაწერი <<მოსწავლის წიგნი გვ102>>, საჭიროებს დაკონკრეტებას. შეირჩეს კონტექსტმაგალითი, რომლის განხილვა-გაანალიზება სამიზნე ცოდნის - ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების მნიშვნელობის გაგებამდე მიიყვანს მოსწავლეს. სასურველია, კონკრეტულ სამიზნე ცოდნასთან მიმართებით რამდენიმე კონტექსტმაგალითი იქნას გამოყენებული.

დამატებითი სასწავლო რესურსები შერჩეული იქნას მოსწავლეთა წინარე ცოდნის, მათ ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით და ფოკუსირდეს იმ საგნობრივი საკითხის ცოდნის სამ კატეგორიაში გააზრებაზე, რომელსაც კომპლექსური დავალება ეძღვნება. კერძოდ, თემა VI Раздел 6 –ში სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის აქაუნტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

NASA სოც ქსელი Tumbir --ინგლისურენოვანი საიტებია და ჩანაცვლდეს მიზნის შესაბამისი დამატებითი რესურსებით. ფილმი ამერიკელ ბიოქიმიკოსზე პეგი უიტსონზე - დაკონკრეტდეს და მიეთითოს ბმული.
ქვეთემა -Всё начинается с колеса -ფარგლებში გათვალისწინებული ძირითადი საკითხი <პრეზენტაცია თემაზე: ტრანსპორტის სახეობები> და კომპლექსური დავალების იდეა:
1) მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან;
2) შეირჩეს და დაკონკრეტდეს სამიზნე ცნების ენობრივი საშუალებების ქვეცნებები: ლექსიკა, გრამატიკა.
მე-11 კლასი - სრულად მიეთითოს სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, თემები, დაკონკრეტდეს სამეტყველო ქმედებები. ბარსეგოვას მე-11 კლასის გრიფირებული სახელმძღვანელო მოიცავს სამ ძირითად თემას, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია 8 თემატური ბლოკი (ქვეთავები გამოტანილია ძირითად თემებად).
თემა 2 -ში დაკონკრეტდეს და ჩამოყალიბდეს კომპლექსური დავალების იდეა, ძირითადი საკითხი.
ქვეთემის -Такая работа- ფარგლებში გათვალისწინებული ძირითადი საკითხი <პოსტერის პრეზენტაცია თემაზე: Такая у меня любимая профессия> და კომპლექსური დავალების იდეა მოითხოვს სამიზნე ცნების ენობრივი საშუალებების ქვეცნებების (ლექსიკა, გრამატიკა) გადახედვას და დაზუსტებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:
მე-11 კლასში გვაქვს ორი თემა:

- ✓ კლიმატის გლობალური ცვლილება
- ✓ გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები.

სასურველია,რომ კურუკულუმის შექმნის დროს საკითხები უფრო ვრცლად იყოს წარმოდგენილი,რაც სამუშაო პროცესზე უფრო მეტ წარმოდგენას შექმნის.

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების, სამიზნე ცნებებისა და კოპმლექსური დავალების მიხედვით, იკვეთება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); აღნიშნულთან დაკავშირებით საუბარია, როგორც თვითშეფასების კითხვარში, ასევე, ირკვევა პედაგოგებთან გასაუბრებისას, რომ მოსწავლეებში გლობალურ-კოგნიტური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით აღწევენ. აქტიურად მუშაობენ, ასევე, შემდეგი მიმართულებებით: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში განსაკუთრებით იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივისტულ საყრდენებზე დაფუძნებით ცოდნის აგებას.

2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი თემატური ერთეულების, გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს დიფერენცირებულ /ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ სამომავლოდ კურიკულუმის ადაპტირება

2.1.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები შეფასდებიან, როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები სხვადასხვა საგანში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ასევე, შექმნილიც აქვთ რამდენიმე რუბრიკა და ინტენსიურად აგრძელებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მომზადებას შერჩეული კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებებისთვის, ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარიდანაც ჩანს, რომ X-XII კლასებში შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება მოსწავლების მიღწევებს, ფასდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით.

2.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის საშუალო საფეხურზე, სასწავლო თემები, რესურსები და შუალედური მიზნები საგნობრივი კათედრების თანამშრომლობის საფუძველზეა შემუშავებული. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

2.1.2.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმის ჩარჩოები და დავალების მატრიცები (X-XII კლასები);
- გასაუბრება პედაგოგებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას საკლასო და სასკოლო ღონისძიებებში. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა ინტელის პროექტი „ტყის ხანძრები საქართველოში“. დასრულების პროცესშია სასკოლო პროექტი „კულტურული მრავალფეროვნება“, რომლის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი პროექტების დამადასტურებელი მტკიცებულება (დანართი 84), სადაც არის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგები/პროდუქტები. პროექტის ფარგლებში მოხდა საგანთა შორის ინტეგრაცია (ისტორია, ბუნება, ხელოვნება), დაკონკრეტებულია საგნებთან/ საგნობრივ ჯგუფებთან/ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირი. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, სხვადასხვა საგანში ცალკეულ საკითხებში იკვეთება კონტექსტმაგალითები, რაც იმას მოწმობს, რომ მასწავლებლები აქვთ მზაობა იმუშაონ ამ მიმართულებით და ხელი შეუწყონ მოსწავლეებში სამიზნ ცნებებიის გააზრებას, გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. მასწავლებლები ინტერვიუს დროს აცხადებენ, რომ საგაკვეთილო პროცესში ბავშვებს ეძლევათ არჩევანის თავისუფლება, საკუთარი ინტერესების წარმოჩენა და განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება.

2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) საშუალო საფეხურის კურიკულუმში სასურველია იყოს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფრო ინტენსიურად.

2. სასწავლო პროცესში გამოყენებული და მასწავლებლების მიერ აღწერილი აქტივობები ადასტურებს იმას, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. თემატური დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რაც ეხმარება მას ახალი ინფორმაცია დააკავშიროს წინარე ცოდნასთან, დაამუშავოს და გადაიტანოს შეძენილ ცოდნაში. წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას (გონებრივი იერიში, კოგნიტური სქემები და სხვ.).

2.2.1.2..ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საშუალო საფეხურის კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ მისი განხორციელების პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. წარმოდგენილ კურიკულუმში და მასწავლებელებთან ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პროექტებზე მუშაობისას, კომპლექსური ტიპის დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეს ეძლევა საშუალება გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, გააანალიზოს, რა შეასრულა კარგად, რაში სჭირდება დახმარება, რა ტიპის გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და რას გაითვალისწინებდა სამომავლოდ. კურიკულუმში შეტანილია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს განსხვავებულ ხედვებსა და პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას. გამოყენებულია ისეთი აქტივობები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლემ შეძენილი ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენოს. მიმდინარე წელს მე-მე-11 კლასებში განხორციელდა ქიმია-გეოგრაფიის ინტეგრირებული პროექტი „ტყის ხანძრები საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა შეისწავლეს ხანძრებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები და გააცნობიერეს მათგან მომდინარე საფრთხეები, რის საფუძველზეც შეიმუშავეს მათი გადაჭრისა და პრევენციის გზები. აღნიშნულმა პროექტმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში გარემოზე ზრუნვის და აქტიური, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. სკოლა გამოთქვამს მზაობას ხელი შეუწყოს მოსწავლეებს სწავლის-სწავლის კომპეტენციების განვითარებაში, თვითრეფლექსიის წარმოებაში.

2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხების შესწავლაზე მუშაობა და კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება მოიაზრებს ცოდნის სამივე კატეგორიას. მაგალითად, ინგლისური ენის მე-10 კლასის კურიკულუმში, პირველ იუნიტში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა გულისხმობს სტატიის მომზადებას თემაზე „მშობლიური და უცხო ქვეყნის განათლების სისტემებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება“. დავალებაზე მუშაობის დროს მოსწავლემ უნდა გაიაზროს კონკრეტული ჟანრის მახასიათებლები, საკომუნიკაციო სიტუაცია, თემა, მიზანი, დააკვირდეს ტექსტის სტრუქტურას და ა.შ. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებში მოსწავლეები შემოქმედებითად უდგებიან აქტივობებს. მათ აქვთ შესაძლებლობა, შეაფასონ საკუთარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობები, შეიძინონ თვითშეფასების უნარი. მასწავლებლები სამომავლოდ გეგმავენ, რომ კომპლექსური დავალებების დამუშავების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმონ პირობისეული ცოდნის გააქტიურებას. .

2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოებში ასახული ინფორმაცია, სტრუქტურული ერთეულები, კომპლექსური და პროექტული ტიპის დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება გამახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კათედრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში და ცდილობენ საგანთა შორის კავშირები მიზნობრივი გახადონ სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში საგნობრივი კათედრები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს.

2.2.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 94. საშუალოს კურიკულუმი;

დანართი 92. პროექტი ტყის ხანძრები საქართველოში;

დანართი 93. პროექტის რეფლექსია;

დანართი 95. მოსწ.ნამუშ.-საშუალო;

დანართი 87. პედაგოგიური სბჭოს ოქმი N3;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ყველა კლასის კურიკულუმში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და თემასთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, გააზრებულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში. ზოგიერთ საგნის კურიკულუმს თან ახლავს მატრიცა , სადაც ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები და პროცესი. აღნიშნული კურიკულუმები არ არის სრულყოფილი, თუმცა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ უკვე მიმდინარეობს კურიკულუმის დახვეწა - განვითარება, ზუსტდება კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები და იქმნება დავალების პირობა/აქტივობები. დაემატება რესურსები და გასწორდება ყველა უზუსტობა.

2.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ჩატარებული გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ-ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლისა და მასწავლებლის ყოველდღიური ურთიერთობა დაფუძნებულია ღირებულებებზე. საბაზო საფეხურზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა ამ კუთხით განვითარებასაც ითვალისწინებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი ხშირად გეგმავენ პროექტებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს, სადამრიგებლო აქტივობებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მშობლების როლიც. სკოლა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოციალური ქსელი საშუალებითაც ახერხებს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე დაკვირვებას. საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას მასწავლებლები კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინებენ აღნიშნულ გამოცდილებას, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას მიანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე.

2.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად. დაწყებით საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან, თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად შექმნიან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებდეს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში.

2.2.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: ყველა კლასში სკოლამ სასურველია, შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც შეფასება დაეყრდნობა მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების სხვადასხვა კუთხით.

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდება. შეფასების რუბრიკების შედგენაში თავიანთ აზრს აფიქსირებენ მოსწავლეებიც. მათ უნდა იცოდნენ რა კრიტერიუმებით შეფასდებიან. რუბრიკების შექმნისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას/დახვეწას და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. მასწავლებლები გააგრძელებენ მუშაობას შეფასების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კრიტერიუმებზე. გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ შედეგს მიემართება შეფასება. შესაბამისად, შეფასება გახდება უფრო ვალიდური. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. **2.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა:შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან შეიქმნას თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე.

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ ამ მექანიზმზე მუშაობა დაწყებულია და სასწავლო წლის განმავლობაში შეიქმნება. შეფასების სისტემის გამართულობის მიზნით სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარების, შეფასებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომელიც ამოწმებს მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის შეფასება მუდმივად ხორციელდება კათედრის სხდომებზე, განიხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება (დახვეწა, უფრო მყარი შეთანხმება შეფასების კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით).

2.2.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემენ ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების ამსახველი დოკუმენტაციის შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით

2.2.2.6.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;
- ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას. პედაგოგებთან გასაუბრებისას და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და კეთილგანწყობილი გარემო. სკოლის მისია და ხედვა არის ორიენტირებული მოსწავლეზე, სკოლაში არის დაცული ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას. სკოლაში სწავლობენ სსსმ მოსწავლეები, სოციალურად დაუცველი, ობოლი და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები. მიუხედავად ამისა, საგაკვეთილო პროცესის დროს მოსწავლეთა შორის არის მიმღებლობა და მხარდეჭერა ერთმანეთის მიმართ. საგნობრივი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში დაგეგმილი დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის ჰოლისტური შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე

2.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე, მათ ინტერესებზე, საჭიროებებზე, თვითგანვითარებასა და პიროვნულ ზრდაზე. საგნის მასწავლებლები ატარებენ დამატებით გაკვეთილებს ეროვნულ ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებისთვის და აძლევენ მათ საჭირო რეკომენდაციებს. ყველა მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად, აქვთ თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთონ სასწავლო პროცესში ერთნაირად თავიანთი შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით.

2.2.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

3. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას.

2.2.3.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის დამყარებულია თანამშრომლობითი და ურთიერთნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. პედაგოგების მთავარი მიზანია თითოეული მოსწავლის ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში, მათი მოტივაციის ამაღლება, შუალედური მიზნის საშუალებით გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ მოსაზრებას, შეხედულებას, მონაწილეობენ პროექტებში.

2.2.3.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურს კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

წარმოდგენილი დოკუმენტებით და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება საგნობრივი კათედრების დახმარებით. კოლეგები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. მათ შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. ურთიერთდასწრებებით გამოკვეთავენ ძლიერ და სუსტ მხარეებს და ითვალისწინებენ შემდგომ კურიკულუმის დაგეგმვისას. ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ჩანს რომ სკოლაში ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი.

სისტემატიურად განიხილავენ კომპლექსურ დავალებებს და ზრუნავენ მის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სხვადასხვა დოკუმენტების საშუალებით იკვლევენ მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებს. ასეთი წარმოდგენილი დოკუმენტებია: საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, ოქმები, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, კითხვარები მშობელთათვის, საჩივრის ყუთი და სხვა. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის კოლეგებთან გაზიარებაზე, ცდილობენ გამოკვეთონ პრობლემური საკითხები და იფიქრონ მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება მშობელთა კითხვარების არსებობაც, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას და მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებას შემდგომი მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.

2.3.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად ჩანს რომ სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგის საჭიროება, კათედრებზე ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და მუდმივად აკვირდებიან საკუთარ პროგრესს. პროცესებისა და შედეგების გასაუმჯობესებლად აფასებენ განვლილ აქტივობებს, მეთოდებს, ნაბიჯებს, პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 85. დაწყებითის კურიკულუმი;
დანართი 83. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
დანართი 4. მშობელთა კითხვარი;
დანართი 89. გაკვეთილზე დასწრება
დანართი 16. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კათედრის წევრები აპირებენ მომავალშიც გამოიყენონ ეს გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს,რომ საგნობრივ კათედრაზე განიხილავენ საშუალო საფეხურზე მე-10 და მე-11 კლასში ჩატარებული კომპლექსური დავალების შედეგებს და იმსჯელებენ თუ როგორ ხდება შუალედური მიზნების განხორციელებით გრძლვადიან მიზანზე ორიენტირება. სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.მოსწავლეების შეფასება ხდება თემის ბოლოს შემაჯამებელი კომპლექსური ბუნების დავალებებით .თითოეულ დავალებას მასწავლებელი ადგენს ესგ-დან გამომდინარე ,აგრეთვე ითვალისწინებსმოსწავლეების სააზროვნო უნარებს, განვითარების დონეს და მათ ინტერესს . შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი.დაიგეგმება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით: თითოეული საგნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგთან,დამრიგებელთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე მათ შექმნილი აქვთ სანიმუშოდ განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

2.3.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციით და პედაგოგთა ინტერვიუთ გამოიკვეთა ,რომ ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს, ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები.მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისიწნებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის,დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. ინტერვიუში გააჟღერეს,რომ კონტექსტები და ფოკუსი შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება. კათედრას აქვს დამრიგებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობის პრაქტიკა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. ახდენენ თვითრეფლექსიას, ურთიერთდასწრებას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, ინტერესების თუ სხვა საკითხების შესასწავლად, რაც მოცემულ კონტექსტშია საჭირო და გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტულობაზე . პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეზე დაკვირვება ხდება როგორც სასკოლო, ისე კლასგარეშე აქტივობების დროს, რათა მოხდეს მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ შესწავლა. საგნობრივმა კათედრებმა ისაუბრეს ,რომ შესაფასებლად გამოიყენებენ , როგორც განმსაზღვრეს ასევე განმავითარებელ შეფასებას. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული,/სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით:

1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);
3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის),თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნეს ,რომ მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირების ინსტრუმენტი არ აურჩევიათ ამ ეტაპზე.

2.3.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და პედაგოგთა ინტერვიუს დროს გამოჩნდა,რომ შეფასებისას სკოლაში გამოიყენება მონაცემთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეგროვების მრავალფეროვან მეთოდები: განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, უკუკავშირი და ა.შ.საზოგადოებრივი მეცნიერებების ინფორმაციით სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის შეფასების და მონიტორინგის მრავალმხრივი მეთოდები გამოიყენონ. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების,პრეზენტაციის ,რეფერატის, დისკუსიის შეფასებები რუბრიკები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მონაცემთა შეგროვება და მათი გონივრული გამოყენება მოსწავლის აკადემიურ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს.

2.3.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გადავიდა შეფასების მეორე მოდელზე, რაც მოსწავლის აკადემიური დონეზე, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე, განვითარების პროცესზე აისახება. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურობას,კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს და სასკოლო კურიკულუმში ასახულ კომპლექსური დავალებების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებზე იმუშავებენ. ამავედროს გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალიზმს. ამის დასადგენად კი პედაგოგები თვითშეფასების სხვადასხვა აქტივობის გამოყენებას გეგმავენ. საშუალო საფეხურის მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებისას ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასებებს და სიტყვიერ კომენტარებს, თუმცა შეფასების რუბრიკები კიდევ დასახვეწია.

2.3.2.4..ინდიკატორი დაკმაყოფილებლია.

რჩევა - სასურველია, სკოლამ მოსწავლეთა შეფასებისას პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. საზოგადოებრივი მეცნიერებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 94-საშუალო საფეხურის კურიკულუმი.
- დანართი 83-მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე ხდება მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმის გადახედვა, რა შესრულდა წარმატებით, სად იყო პრობლემა და რა ვერ შესრულდა. იქმნება საჭიროებათა სარეკომენდაციო პაკეტი, რომელსაც ითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში იძენენ გამოცდილებას კომპლექსური დავალებების დანერგვაში. მოსწავლეთა უმეტესობამ ალღო აუღო და კარგად შეასრულა, მშობლებს ეგზავნებათ მშობლის ბარათი, რომლის საშუალებითაც ეცნობებათ, თუ რომელ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობენ მათი შვილები და რომ ეს მათი შესასრულებელი არ არის. კომპლექსური დავალების შესრულებისთვის საჭირო მითითებები მოსწავლეებს ეძლევათ საგაკვეთილო პროცესში, სახლში მათ ევალებათ განავრცონ, გააფორმონ და აირჩიონ კომპლექსურის წარდგენის მათთვის მისაღები მეთოდი. მიღებული გამოცდილება საშუალებას იძლევა 2023-2024 სასწავლო წელს გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი. ადმინისტრაცია ეხმარება და მხარდაჭერას უწევს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, წლის მანძილზე ახორციელებს მონიტორინგს სასწავლო პროცესზე, გამოკვეთავს საჭიროებებს, პრობლემებს და ზრუნავს მათ მოგვარებაზე. მასწავლებლებმა 2023-2024 სასწ. წლის დაწყებამდე გონივრულად და შემოქმედებითად შეადგინეს საგნობრივი კურიკულუმები, სამოქმედო გეგმები, სადამრიგებლო პროგრამები. დამრიგებლები სისტემატიურად აწოდებენ მშობლებს ინფორმაციებს მათი შვილების შესახებ. (აკადემიური მოსწრების, სუსტი და ძლიერი მხარეების, ქცევისა და ა. შ.) ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. სკოლა აქტიურად რთავს მშობლებს სასკოლო ცხოვრებაში, ხელს უწყობს მოსწავლეებს უფრო ღიად და გაბედულად დააფიქსირონ თავიანთი სურვილები და საჭიროებები, მხარს უჭერს მოსწავლეთა თვითმმართველობას, რათა უფრო აქტიურად იმუშაოს და წამოაყენოს თავიანთი ინიციატივები,

2.4.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავების ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ითვალისწინებს სარეკომენდაციო პაკეტში აღნიშნულ საკითხებს, ასევე ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. გასულ სასწავლო წელს ყველა კლასში საშუალოდ ჩატარდა ორ-ორი კომპლექსური დავალება, არის კლასები, სადაც ყველა მოსწავლემ შეასრულა კომპლექსური დავალება, თუმცა გამოიკვეთა კლასები, რომელშიც მოსწავლეთა ნაწილმა ვერ შეასრულა კომპლექსური დავალება. კომპლექსური დავალების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მოსწავლეებს სჭირდებათ წერითი უნარების განვითარება, ამიტომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2023-2024 სასწავლო წლისათვის შეირჩა ისეთი კომპლექსურები, რომლებიც ორიენტირებულია წერითი უნარების განვითარებაზე,

2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- .დანართი 94. საშუალოს კურიკულუმი;
- დანართი 16. სამოქმედო გეგმა ერთწლიანი;
- დანართი: ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ცვლილება (ბრძანება N105 (06.10.2023 წელი)
- დანართი: 2023-2024 სასწ. წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული განვითარების გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---








ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---